3

საბჭოდ ბაბი
1 9 3 6

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

12 753

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ოთხთვიური ჟურნალი

3

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грашашвили
Академия наук ГССР

1 9 3 6
ტფილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლავრენტი ბერია — გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები . . . 3
მეტი რევოლუციონური სიფხიზლე 17

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი კალანდაძე — შადრევანი პუშკინის ბაღში 21
მიხეილ ფოფხაძე — ბაღის სიცოცხლე 23
შალვა ამისულაშვილი — ფიქრები ლაჟვარდში 25
ამირან გაბესკირია — მთესველები 27
ტ. ჯვარშეიშვილი — სტახანოველის სიმღერა 28
შ. სამადაშვილი — არწივი 29
ალ. იასაღიშვილი — „მინდვრის მგელი“ 30
ი. ჩხაიძე — პირველი ცხენოსანი 36

კლასიკური მემკვიდრეობა

ალი არსენიშვილი — „დაუდგრომელი ბესარიონი“ 48

კ რ ი ტ ი კ ა

შალვა აფხაიძე — ლიტერატურის ახალი კადრები 54
ინფორმაცია 64

ლ. ბერია

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები

სტატია დაბეჭდილია „პრავდის“ 19 აგვისტოს ნომერში

„... ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, არამედ უნდა ვანვითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი,— არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა მოვახდინოთ,— არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში...“

ი. სტალინი. მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე.

I

ჩვენი მძლავრი საბჭოთა ქვეყანა ბეჯითად მიდის წინ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების მწვერვალებისაკენ.

სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით იხილავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, განასახიერებს სოციალიზმის ისტორიულ წარმატებებს, მოპოვებულთ საბჭოთა კავშირის ხალხთა შიერ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა და მშრომელი მასების საყვარელი ბელადის – დიდი **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით.

მთელი მსოფლიო იცნობს ამ წარმატებებს, მათ იცნობენ და აფასებენ მშრომელი კაცობრიობის მილიონები. სოციალიზმის ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი.

ეს წარმატებანი მოპოვებულია სსრ კავშირის ბოლშევიკებისა და მშრომელი მასების შიერ კონტრრევოლუციის ძალთა ლიკვიდაციის შედეგად, ანტიპარტიული ჯგუფებისა და ოპოზიციების დაუნდობელი განადგურების შედეგად. ისინი მიღწეულია ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების გმირული ბრძოლითა და მუშაობით და წარმოადგენენ ჩვენი პარტიის ხაზის გამარჯვების გამოხატულებას, მისი სტალინური ხელმძღვანელობის გამარჯვებათა გამოხატულებას.

მხოლოდ **ლენინ-სტალინის** პარტიამ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წამყვან ძალას წარმოადგენს და რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, უზრუნველჰყო ეს ისტორიული წარმატებანი, შეურიგებლად იცავდა რა თავის გენერალურ ხაზს მტრების თავდასხმებისგან.

ამიტომ სოციალიზმის განადგურებულ მტერთა უბადრუკი ნამსხვრევები ახლა სცდილობენ მთელი თავიანთი მახვილი, უწინარეს ყოვლისა, მიჰმართონ **ლენინ-სტალინის** პარტიის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ,

მის გულში, ისინი თავიანთ შავბნელ, მოღალატურ და დამარღვეველ მუშაობაში ადგებიან ყველაზე ბილწი, ყველაზე საზიზღარი საშუალებებისა და მეთოდების გზას.

„მხედველობაში უნდა გვქონდეს,—ამბობდა ამხანაგი **სტალინი**,—რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმის ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმის სხვა, უფრო მკვეთრ ფორმაზე, მიჰმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სისაძაგლე და ცილისწამება, რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადნენ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და შეინძრნენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიების—ესერების, მენშევიკების, ცენტრისა და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და შეინძრნენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნამსხვრევები ტროცკისტებისა და მემარჯვენე უკლონისტების წრიდან“.

ამხანაგ **სტალინის** ეს გენიალური პროგნოზი სავსებით და მთლიანად დაადასტურა თვით ცხოვრებამ.

პარტიის ერთერთი საუკეთესო, საყვარელი ხელმძღვანელის—**სერგეი მირონის-ძე კიროვის** საზიზღარმა მკვლელობამ, რომელიც ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა—ამ კონტრრევოლუციონერებმა და არამზადებმა მოაწყეს,—თვალნათლივ დაგვანახვა, რომ პარტიის მტრები მის წინააღმდეგ ბრძოლის არავითარ საშუალებას არ თაკილობენ და რომ ისინი ტერორის, დივერსიისა და შპიონაჟის გზით მიდიან.

მტრებისათვის აშკარაა, რომ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა წარმატებით, გადალახა მან თავის წინაშე მდგომი ყველა სიძნელე და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს, რომ ბოლშევიკური პარტია გახდა მთლიანი და monolitური, როგორც არასოდეს.

ხედავენ რა ამას, კონტრრევოლუციური ძალების ნაშთები და, უწინარეს ყოვლისა, კონტრრევოლუციის ქოფაკი ძაღლები—უმსგავსი ტროცკისტები და ზინოვიეველები, რომლებსაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ მასებში, გაბოროტებულნი არიან და თვით ისტორიის მიერ მხილებულნი, რომლებმაც თავიანთ „პრინციპებს“ საფუძვლად დაუდეს კარიერიზმი, თავკერძობა და მაროდიორობა, გადაიქცნენ მკვლელთა ბანდად, რომელთა ერთადერთი მიზანია—არაფერი არ ითაკილონ და ყოველგვარი საშუალებით გაძვრნენ ხელისუფლების სათავეში.

დაადგნენ რა მოღალატეობისა და გამცემლობის გზას, ტროცკისტები და ზინოვიეველები ჩაეფლნენ უაღრესად აღვირახსნილ თეთრგვარდიელთა ჭაობში, გადაიქცნენ ფაშისტურ კონტრდაზვერვათა აგენტებად, გადაიქცნენ კონტრრევო-

ლუციურ ელემენტთა მთავარ დამრაზმავ ძალად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად მის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა მათი მიზანი გახდა; ტერორი, შპიონაჟი და დივერსია გადაიქცა მათი ბრძოლის საშუალებად, ხოლო თვალთმაქცობა—მათი კონტრრევოლუციური თეთრბანდიტური ოინების მეთოდად და საფარად.

II

უკანასკნელ დროს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის პერიოდში ამიერ-კავკასიაში გამოაშკარავებულ და გამომჟღავნებულ იქნენ ცალკეული კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები.

ტფილისში გამოაშკარავებულ იქნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები თუმანოვი, აკირტავა, ჩიხლაძე, ძიგრაშვილი, ყაზაროვი, ანანინი, მუდრი, ვარნაზოვი და სხვები. ეს თვალთმაქცნი, რომლებიც წარსულში ნაციონალ-უკლონისტები იყვნენ, ხოლო შემდეგ ტროცკისტულ ოპოზიციას ეკუთვნოდნენ, რომელთა ნაწილი გადასახლებაში იყო, ხოლო ცალკეულნი მათგანი პარტიაში იქნენ აღდგენილნი, ფიცით იძლეოდნენ რა თავის განცხადებებს პარტიის ხაზისადმი ერთგულების შესახებ, ამავე დროს ჰქმნიდნენ კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ არალეგალობას, ეწეოდნენ დამარღვეველ მუშაობას, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს.

ბაქოში გამოაშკარავებულ იქნა ბაღდასაროვის, კრილოვის, კუზმინის, კონევსკის, ო. ბაირამოვის, ბაბაევისა და სხვათა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ჯგუფი. როგორც გამორკვეულ იქნა, გადასახლებიდან ბაქოში დაბრუნებულმა ტროცკისტებმა არა თუ არ შესწყვიტეს თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა, არამედ, პირიქით, მიაღწიეს რა პარტიაში აღდგენას, ამავე დროს შეჰქმნეს ბაქოში კონტრრევოლუციური ტერორისტული სადივერსიო ჯგუფები და თავის მუშაობაში დაუკავშირდნენ საკმაოდ ცნობილ თვალთმაქცს კონტრრევოლუციონერ ტერ-ვაჰანიანს.

ერევანში გამოაშკარავებულ იქნა სტეპანიანის კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ნაციონალისტური ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ ეს არამზადა და სალახანა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წითელი პროფესურის ინსტიტუტში სწავლობდა მოსკოვში, ხოლო უკანასკნელ 4-5 წელს იყო სომხეთის განათლების სახალხო კომისრად, შემდეგ კი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ნაციონალისტურ მუშაობას, შეჰქმნა კონტრრევოლუციური ჯგუფი, ქადაგებდა ტერორს პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები გამოაშკარავებულ იქნენ აგრეთვე ლენინაკანსა, ბათომსა და კიროვაბადში.

გამოაშკარავებული ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ აღიარა თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა. ისინი გამოტყდნენ იმაში, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ცენტრის დავალებით კონტრრევოლუციური ჯგუფების

მონაწილეთა შორის ნერგავდნენ სიძულვილს საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის მიმართ, ზრდიდნენ ტერორისტთა კადრებს, ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას საწარმოებში და ამზადებდნენ სადივერსიო აქტებს.

თავის მუშაობაში ამ არამზადებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატურ, თეთრგვარდიულ და კულაკურ კონტრრევოლუციურ ელემენტებთან.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველები თავისი ბრძოლის მიზნებსა და საშუალებებში არამარტო შეუთანხმდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან განდევნილ მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატურ თეთრგვარდიელებსა და მათს არალეგალურ აგენტურას, არამედ ისინი გახდნენ მათი დამრაზმავი ძალა და სათავეში ჩაუდგნენ მათს ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის გამარჯვებათა წინააღმდეგ.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ პოლიტიკურად ბრმანი, ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივად უგულებელჰყოფდნენ ამხანაგ **სტალინის** მითითებებს სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობაზე, რომლებმაც არავითარი დასკვნა არ გააკეთეს ამხანაგ კიროვის მოკვლის გაკვეთილებიდან, პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის გაკვეთილებიდან.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებიც თავისი არასაკმაო სიფხიზლით საშუალებას ჰქმნიდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველთა გარეწრების კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

პარტიიდან ჯერ კიდევ სავსებით როდი არიან გაგვილნი კლასობრივი მტრის პირდაპირი ხელშემწყობნიც.

გამოაშკარავებულ ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფების შემადგენლობაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პარტიული ბილეთები ჰქონდათ და პარტდოკუმენტთა შემოწმება გაიარეს. ბაქოს ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფის ორგანიზატორები — ბაღდასაროვი, კრილოვი, კონევსკი, ბაირამოვი და ბაბაევი პარტიის წევრები იყვნენ.

III

ტროცკისტთა, ზინოვიეველთა და სხვა კონტრრევოლუციონერთა მიმართ სიფხიზლის დაკარგვისა და მათთვის ხელისშეწყობის მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტები, რომლებიც შეეხება სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს ხანჯიანს და სომხეთის პარტკოლეგიის ყოფილ მდივანს გალოიანს.

როგორც გამოირკვა, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა—ხანჯიანმა, რომელიც ჯერ კიდევ 1934-1935 წლებში იღებდა სიგნალებს სტეფანიანისა და მისი ჯგუფის კონტრრევოლუციური ტერორისტული და დამარღვეველი მუშაობის შესახებ, არავითარი ზომები არ მიიღო ამ ჯგუფის გამოსააშკარავებლად.

როდესაც სომხეთის პარტკოლეგიამ ჯერ კიდევ 1934 წელს, განიხილა რა მასალები სტეფანიანის კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ, დამალა, მიჩქ-

მალა ეს საქმე და სავსებით გაამართლა იგი—ხანჯიანმა ხელი დააფარა პარტ-კოლეგიის ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და სანქცია მისცა მის გადაწყვეტილებას.

სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში ხანჯიანმა აღიარა: „პარტკოლეგიაში სტეფანიანის საქმის გარჩევასთან დაკავშირებით, მე ჩავიდინე პარტიული ხელმძღვანელისათვის სამარცხვინო შეცდომა“.

სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტული ჯგუფის საქმის გამოწარმოებული კვლევა-ძიება, უკანასკნელ დროს სომხეთში კონტრრევოლუციური ტროცკისტული და ნაციონალისტური ელემენტების გამომჟღავნება მოწმობენ, რომ ხანჯიანმა ჩაიდინა „სამარცხვინო შეცდომა“ არა მარტო სტეფანიანის ჯგუფის საქმეში, არამედ დაჰკარგა რა სიფხიზლე, აუცილებელი თვითეული კომუნისტისათვის და მით უმეტეს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, ის ჰფარველობდა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ განწყობილებებს, სუსტად ეწეოდა ბრძოლას ტროცკისტულ, დაშნაკურ და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან და ამით ხელს უწყობდა მათს ანტისაბჭოთა მუშაობას.

ახლა გამორკვეულია, რომ ხანჯიანს სისტემატურად, მთელი რიგი წლების განმავლობაში მიწერ-მოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ, პარიზში მყოფ ვინმე ჩობანიანთან, სომხური კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის „რამკავარების“ ერთერთ ცნობილ მოღვაწესთან.

ხანჯიანი უმალავდა პარტიას ამ მიწერ-მოწერას. ხანჯიანისადმი მიწერილ წერილებში ეს ჩობანიანი აძლევდა მას კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ „რჩევებს“.

ერთერთ ასეთ წერილში 1933 წელს ჩობანიანი სწერდა ხანჯიანს:

„ძალიან კარგს იზამთ, თუ თქვენს პრესაში და თქვენს სიტყვებში შეძლებისდაგვარად ნაკლებად ილაპარაკებთ დაშნაკებზე“.

1936 წელს მოწერილ წერილში ჩობანიანი ურჩევდა ხანჯიანს ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით დაესვა სომხეთის საზღვრების გადასინჯვისა და მათი გაფართოვების საკითხი.

„მე ვლაპარაკობ,—სწერს ის ხანჯიანს,—არა მარტო თურქეთისათვის გადაცემულ ანსა, არარატსა, ყარსსა და სურმალუზე, არამედ ახალქალაქსა და ყარაბაღზეც... და ნახჭევანზე, რომელიც ყოველთვის სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა“.

ხანჯიანი არა მარტო ღებულობდა ასეთ წერილებს, არამედ თავისთვის შესაძლებლად სცნობდა პასუხი გაეცა მათზე და მიჰყოლოდა კიდეც ამ კონტრრევოლუციურ რჩევებს.

ასე, მაგალითად, დაშნაკების საკითხზე ის პირდაპირ მითითებებს აძლევდა გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანის“ (სომხეთის ც. კ-ის ორგანო) რედაქციას—ნაკლებად გაეკრიტიკებინათ პრესაში დაშნაკები და თვითონაც „შეძლებისდაგვარად“ სცდილობდა ნაკლებად გაეკრიტიკებინა ისინი თავის სიტყვებში.

„ახლანდელ პირობებში არ არის არავითარი საჭიროება ვბეჭდოთ წერილები დაშნაკების წინააღმდეგ. ეს ზედმეტი იქნებოდა“,—მიუთითებდა ხანჯიანი „ხორურდაინ ჰაიასტანის“ რედაქციის მუშაკებს.

არ იჩენდა რა სიფხიზლეს ტროცკისტებსა და დაშნაკებთან ბრძოლაში, თვალთმაქცობდა რა პარტიის წინაშე, ხანჯიანი პირდაპირ ჰფარველობდა გაშიშვლებულ ნაციონალისტურ ელემენტებს სომხეთის ინტელიგენციაში, მწერალთა ნაწილში, რომლებიც აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ სომხეთის ხალხის კულტურის მშენებლობის წინააღმდეგ,—ნაციონალურისა ფორმით და სოციალისტურისა შინაარსით, ისინი ამას უპირდაპირებდნენ კულტურის კონტრრევოლუციურ ფორმულას—„ნაციონალური ფორმით და ნაციონალისტური შინაარსით“.

სომხეთის პარტკოლეგიის ყოფილი მდივანი ა. გალოიანი, ეს არამზადა და თვალთმაქცი, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა აშკარა დამხმარე აღმოჩნდა.

მან დაუმალა პარტიას, რომ ეკუთვნოდა ტროცკიზმს 1927 წელს, ის პირდაპირ ჰფარველობდა ტროცკისტებს და ხელს უწყობდა სტეფანიანის კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ჯგუფს. არაერთხელ მიიღო რა პარტიის ცალკე წევრებისაგან განცხადებები სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტული და ნაციონალისტური შეხედულებების შესახებ, გალოიანმა არა თუ არ მიიღო ზომები სტეფანიანის ჯგუფის გამოსამჟღავნებლად, არამედ, პირიქით, პარტიული სასჯელი დაადო პარტიის წევრს, რომელიც სტეფანიანს ამხელდა.

გალოიანი სტუმართმოყვრულად იღებდა თავის ბინაზე კონტრრევოლუციონერ სტეფანიანს და პირადად ისმენდა მის კონტრრევოლუციურ დაშნაკურ „მსჯელობას“.

სომხეთის კომპარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების მიერ გამომჟღავნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს გალოიანი აღადგენდა ხოლმე პარტიაში: გალოიანი ხელს აფარებდა მათ, პარტკოლეგიის სხვა წევრები კი უდარდელად აბარტყუნებდნენ ყურებს და ბეჭედს ასვამდნენ გალოიანის მიერ შეჩეჩებულ გადაწყვეტილებებს.

IV

ბაქოს ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებს ბალახანის, ლენინის და შაუმიანის რაიონებში თავის დროზე ჰქონდათ მთელი რიგი სიგნალები ცალკეული კომუნისტებისა და უპარტიო სტახანოველი მუშებისაგან ტროცკისტთა, ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ, მაგრამ ამ ორგანიზაციებმა თავის დროზე არ მიიღეს ზომები მათ გამოსამჟღავნებლად.

ბალახანის რაიონის ბუდიონის სახელობის ქარხანაში საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობი ამხ. მიტიუშინი აცნობებდა პარტიულ ორგანიზაციას, რომ პარტიის წევრი—თვალთმაქცი სოროკინი და პარტიიდან გარიცხული ტროცკისტები—დენისოვი, მოკშინოვი და ჩერნიშევი ეწევიან პარტიის მიმართ კონტრრევოლუციურ ცილისწამებას და მუშებთან კონტრრევოლუციურ საუბრებს აწარმოებენ.

ბუდიონის სახელობის ქარხნის პარტკომში არა თუ ყურადღება არ მიაქციეს ამხ. მიტიუშინის ამ განცხადებას, არამედ, პირიქით, უქმნიდნენ მტრებს ხელსაყრელ პირობებს კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

კონტრრევოლუციური ტროცკისტული ტერორისტული ჯგუფის აქტიურ წევრებს ლევაგინს, აპალკოვს და პაკინს მინდობილი ჰქონდათ მუშაობა პარტ-კაბინეტში.

სიფხიზლის მოდუნება გამოიჩინა სარეწაო გზის სამმართველოს პარტორგანიზაციამაც ლენინის რაიონში („უპდ"—ზაბრატი). პარტიის წევრი მთავარი კონდუქტორი შულიკო ატყობინებდა პარტორგანიზაციას, რომ პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი სერგეევი ზაბრატის სადგურზე ეწევა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ აგიტაციას. სავაგონო დეპოს პარტორგი ამხ. კარაპეტიანი აცნობებდა პარტკომს, რომ კონტრრევოლუციურ ლაპარაკს ეწევა კაზადაევი, რომელიც მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებს. სადგურ ზაბრატის—„უპდ"-ს პარტკომმა ვერ შესძლო შეემჩნია და თავის დროზე გამოემჟღავნებინა ამ კონტრრევოლუციური ლაპარაკის პოლიტიკური სარჩული. „უპდ"-ს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სიფხიზლის მოდუნების გამო კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტებმა მოახერხეს გამძვრალიყვნენ სარეწაო გზების სამმართველოში ზაბრატში და დაეკავებინათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი პოსტები წარმოებაში. კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი კოვალიოვი ხელმძღვანელობდა „უპდ"-ს წევის მთელი დარგის ტექნიკურ განყოფილებას; ტერორისტი ტროცკისტი დემინი იყო ინსტრუმენტალურ საამქროს უფროსი; ტროცკისტი ბუგაენკო ხელმძღვანელობდა ნორმირებას დეპოში; თვალთმაქცი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი დურნოვი იყო ექსპლოატაციის დიდი საამქროს პარტორგი.

კლასობრივ მტერთან ბრძოლაში სიფხიზლის მოდუნების ფაქტები არის ტფილისის ორგანიზაციაშიც.

კონტრრევოლუციური მუშაობისათვის ამჟამად დაპატიმრებულ ტროცკისტ აკირტავას, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა და რომელიც პარტიის რიგებში არ არის აღდგენილი, დაპატიმრებამდე მეგობრობა ჰქონდა ზოგიერთ მოლიბერალო კომუნისტთან, რომლებიც მას სიმპატიით ეპყრობოდნენ. აღმოჩნდა ერთი, რბილად რომ ვთქვათ „ჩუდაკი" ხელმძღვანელ მუშაკთა წრიდან, რომელმაც გადასწყვიტა „ხელი აეღებინებინა" აკირტავასთვის მის კონტრრევოლუციურ შეხედულებებზე იმით, რომ წასაკითხავად აძლევდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ლიტერატურას, რომელიც მას ჰქონდა, და რომლის გამოყენებაც ტროცკისტმა აკირტავამ არ დააყოვნა თავისი კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის.

ტფილისში დაპატიმრებულ ტერორისტ ტროცკისტს ვარნაზოვს უკანასკნელ დრომდე მეგობრობა ჰქონდა ერთერთ ხელმძღვანელ მუშაკთან, რომლის სიმპატიებითაც იგი სარგებლობდა და რომელიც ხშირად სტუმარმოყვარულად ღებულობდა ვარნაზოვს თავის სახლში და ვერ შესძლო დაენახა მასში პარტიის მტერი, ტერორისტი და დივერსანტი.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამოკვლევო ჰიდროენერგეტიკული ინსტიტუტის დირექტორი ტფილისის სტალინის რაიონში კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი თვალთმაქცი ბერძენიშვილი აგროვებდა ინსტიტუტში „თავის ადამიანებს" კონტრრევოლუციური მუშაობის ხაზით—ტროცკისტებს: ობოლენსკის,

ჩიხლაძეს, ხახანოვს და ყოფილ აქტიურ მენშევიკს მარშანიას, რომელიც მოტყუების გზით შეძვრა პარტიაში. სწორედ ამ „კომუნისტებისაგან“ „შესდგებოდა“ ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია. ბერძენიშვილი თავის გარშემო იკრებდა აშკარად უცხო, სახელგატეხილ ადამიანებს, რომლებსაც ის „დამსახურება“ ჰქონდათ, რომ წარსულში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პარტიულ ორგანოებს მხედველობიდან გამოეპარათ ტროცკისტ ბერძენიშვილის ეს დამარღვეველი მუშაობა.

ყველა ამ გამომჟღავნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთა დამარღვეველი მუშაობის დაფარვის მეთოდს წარმოადგენდა ყველაზე საზიზღარი, ყველაზე ბინძური თვალთმაქცობა. ისინი აცხადებდნენ, რომ ერთგული არიან პარტიის, წარმოსთქვამდნენ რევოლუციურ ფრაზებს პარტიის ხაზის დასაცავად, და აბრიყვებდნენ რა ამით არაფხიზელ ხელმძღვანელებს და კომუნისტებს, მოქმედებდნენ, როგორც ხალხის მტრები.

ტროცკისტები ჩიხლაძე, კანდელაკი, ლ. გასვიანი და სხვ. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ტფილისის პარტიული ორგანიზაციების კრებებზე თავიანთ გამოსვლებსა და სიტყვებში ტროცკიზმის წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზისათვის, ხოლო ამავე დროს სინამდვილეში ეწეოდნენ არალეგალურ კონტრრევოლუციურ მუშაობას.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ლეონ სარქისოვი ოთხ წელიწადს მუშაობდა პარტიის ლენინის რაიკომის პროპაგანდისტად და ხელმძღვანელობდა წრეს ტფილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. ატარებდა რა წრის სხდომებზე ლექციებსა და საუბრებს პარტიის ხაზის დასაცავად და აძინებდა რა ამით პარტორგანიზაციის სიფხიზლეს, იგი დაუსჯელად აკეთებდა თავის ბინძურ კონტრრევოლუციურ საქმეს.

V

ყველა ეს ფაქტი იმას გვეუბნება, რომ პარტიის ხაზის სრული და გადამწყვეტი გამარჯვების პირობებში, როდესაც აშკარა ბრძოლა პარტიის პოლიტიკასთან უიმედო გახდა, მხოლოდ თვალთმაქცობას შეუძლია დაჰფაროს და ხელი შეუწყოს ახტიპარტიულ და კონტრრევოლუციურ ელემენტებს პარტიის შიგნით.

თვალთმაქცი პარტიის მომტყუებელია, თვალთმაქცი საბჭოთა ხელისუფლების მტერია, ხალხის მტერია. თვალთმაქცი — კონტრრევოლუციის აგენტია, მავნებელი, პროვოკატორი, მზვერავია.

კომუნისტი, რომელიც შემარიგებლობას და დამპალ ლიბერალიზმს იჩენს თვალთმაქცობის მიმართ, რა ფორმებშიაც უნდა გამოვლინდეს იგი, უდიდეს დანაშაულს ჩადის პარტიის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ჩვენი სამშობლოს წინაშე.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრები ნაციონალურ რესპუბლიკათა პირობებში ძალიან ხშირად ეფარებიან ნაციონალურ ყოფაცხოვრებითს თავისებურებებსა და ტრადიციებს.

შემთხვევითი როდია, რომ ცალკეული ტროცკისტ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ელემენტები თავისი მავნებლური და ტერორისტული მუშაობის

დასაფარავად იკეთებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელი ხალხების „ნაციონალურ მისწრაფებების“ გამომხატველთა ნიღაბს.

შემთხვევით როდია, რომ სტეფანიანის ტროცკისტული ჯგუფი ერევანში თავის გაშიშვლებულ კონტრრევოლუციურ განწყობილებებს მძლავრად ეღინთავდა ნაციონალისტური სიმყრალით.

ნაციონალისტური ელემენტები ნაციონალ-შოვინისტური ლაყბობიდან ძალიან ხშირად ქვეითდებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის პოზიციებამდე და ბლოკს ჰკრავენ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებთან, მენშევიკებთან, დაშნაკებთან და მუსავატისტურ ელემენტებთან. ასეთია ბოლშევიკთა პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოგიკა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ ახსოვთ თავისი მუშაობის ეს თავისებურება.

ისინი დაუნდობელ ბრძოლას ეწევიან კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ ელემენტებთან და ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივებთან თავის საკუთარ რიგებში.

მათ კარგად ახსოვთ, თუ რით დამთავრდა ნაციონალ-უკლონიზმის გამცემლური გზა.

ნაციონალ-უკლონისტების საგრძნობი ნაწილი, რომლებიც იყვნენ საქართველოს მენშევიკების, თავადების, მემამულეებისა და კულაკების ინტერესების გამომხატველნი და მათი საქმის გამგრძობნი, შემდეგ ჩაეფლნენ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ჭაობში და ტროცკისტებსა და ზინოვიეველებთან ერთად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაადგნენ შპიონაჟისა, დივერსიისა და ტერორის გზას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ნაციონალისტური ელემენტები ამიერ-კავკასიაში ცდილობენ თავისი მუშაობის გაცხოველებას.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლისა და, ამასთან დაკავშირებით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, შეაფასონ, როგორც თავისი წარსული ნაციონალ-უკლონისტურ შეცდომათა გამართლება. სჩანს, ამ ადამიანებს ვერ გაუგიათ თავისი წარსული შეცდომები, მათ არ გაეგებათ ის, რასაც დღეს პარტია აკეთებს, და დაუნდობლად უნდა იქნენ გამოაშკარავებულნი.

ამხანაგი **სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის მოხსენებაში „ახალი კონსტიტუციის შესახებ“ ამ ადამიანებს ადარებდა პეტროგრადში—1917 წლის აპრილს მომქმედ ერთერთ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელსაც **ლენინმა** ავანტურისტული ჯგუფი უწოდა, ვინაიდან იგი მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას 1917 წლის აპრილს, როდესაც პირობები ამისათვის ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო და ნაადრევი აჩქარება შეიძლებოდა პარტიისათვის კატასტროფით დამთავრებულიყო. ხოლო, როდესაც 1917 წლის ოქტომბერში პარტიამ აიღო ხელისუფლება და დაამყარა საბჭოთა

წესწყობილება, ამ ჯგუფის ადამიანები ძლევამოსილი გამომეტყველებით ლაპარაკობდნენ—მართალი ვიყავით, როდესაც 1917 წლის აპრილში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოვითხოვდითო. **ლენინი** ასეთ კომუნისტებს წვრილ მაროდიორებს ეძახდა. ამ წვრილ მაროდიორებს ჰგვანან დღეს ის ნაციონალ-უკლონისტები, რომელნიც ცდილობენ გაამართლონ თავიანთი წარსული შეცდომები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ.

ნაციონალ-უკლონისტები საქმეს უფუჭებდნენ ჩვენს პარტიას მაშინ, როდესაც საჭირო იყო ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხება ამიერ-კავკასიაში და მეგობრობის კავშირის განმტკიცება ხალხთა შორის. ასინი ლამობენ დღესაც აგვირიონ საქმე და ცდილობენ შეარყიონ ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

საქართველოს და სომხეთის ინტელიგენციის ძველი კადრების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება. ძალიან ხშირად მტერი ცდილობს ამის გამოყენებას. ნაცვლად იმისა, რომ დაჟინებით იმუშაონ ინტელიგენციის ამ ჯგუფთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე, ცალკეული კომუნისტები, ხოლო ზოგჯერ თვითონ ხელმძღვანელი მუშაკებიც, რომლებიც ძალიან ხშირად კარგად ვერ ერკვევიან პარტიის ნაციონალური პოლიტიკის საკითხებში, კვერს უკრავენ ჩამორჩენილ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რაც ენ სხვებსაც და თავის თავსაც, ზოგჯერ კი მავნე ნაციონალისტური განწყობილებანი გადააქვთ პარტიული ორგანიზაციების რიგებში. კომუნისტი გავლენას უნდა ახდენდეს გარშემო მყოფებზე, წინ უნდა უძღოდეს მათ, ზოგიერთ კომუნისტებს კი პირიქით ემართებათ: მათზე გავლენას ახდენენ ნაციონალისტური და მტრულად განწყობილი ელემენტები და მათ თავისი მიზნებისათვის იყენებენ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამიერ-კავკასიაში უდიდესი მუშაობა შეასრულეს ნაციონალური ინტელიგენციის კადრთა საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის გარშემო შესამჭიდროვებლად. ამ საქმეში მათ უდავო და დიდი წარმატებები აქვთ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ სიფხიზლე პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმეში. უფრო უკეთ მოვაწყოთ მუშაობა მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში და ამ უბანზედაც აგრეთვე საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი.

VI

ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ მოიპოვება ძველი გადანაშთები და ეგრეთწოდებული „ტრადიციები", რომლებსაც დიდიხანია ბოლო უნდა მოეღოს.

ჯერ კიდევ ცოტა არ არის ისეთი კომუნისტი, რომლებიც საყოფაცხოვრებო ტრადიციულ ურთიერთობას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პარტიულ პრინციპულ ურთიერთობას.

სტუმართმოყვარეობის რა ტრადიციებით შეიძლება გამართლდეს საქციელი ცალკეული პარტიელებისა, რომლებმაც ტფილისში სასტუმრო „ორიანტში" სპეციალური საზეიმო შეხვედრა—ბანკეტი გაუმართეს გამცემელ ლომინაძეს,

რომელიც, როგორც გამორკვეულია, ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ერთერთი ორგანიზატორი იყო და რომლის ანტიპარტიული შეხედულებანი და მუშაობა უკვე იმ პერიოდში კარგად იცოდნენ შეხვედრის ცალკეულმა ინიციატორებმა.

კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ სურთ გაიფუჭონ კარგი ურთიერთობა „მეგობრებთან", ალბათ, იმ ანგარიშით, რომ ეს „მეგობრები" ძეიძლება მათ ოდესმე გამოადგეთ.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, როგორ იჩენენ ცალკეული კომუნისტები, რომელთაკ არ ესმით რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების ამოცანები, ყოველად შეუწყნარებელ გულკეთილობას, დამპალ ლიბერალიზმს და ამით მორჩილად მიჰყვებიან კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

ყველა ეს ფაქტი კიდევ და კიდევ ამტკიცებს ამხანაგი **სტალინის** მითითებათა გენიალობას რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების აუცილებლობის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა უაღრესად ულმობელი ბრძოლა სოციალიზმის მტრებთან და მათ მოწინავე რაზმთან—საზიზღარ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტ-ზინოვიეველებთან.

რევოლუციური შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლე გამოხატულებას უნდა პოულობდეს არა პლატონიურ სიტყვებში სიფხიზლის შესახებ, არა მყვირალა რეზოლუციებში, არამედ კომუნისტის თვითეულ მოქმედებაში ის უბანზე, სადაც იგი დაყენებულია პარტიის მიერ, იმ გარემოში, სადაც იგი იმყოფება, კომუნისტის პრაქტიკული მუშაობისა და ყოველდღიური ყოფაცხოვრების თვითეულ ნაბიჯში.

რევოლუციური სიფხიზლე უნდა მდგომარეობდეს იმ ადამიანთა უაღრესად გულდასმით შემოწმებაში, რომლებთანაც კომუნისტი მუშაობს, რომლებიც მას გარს აარტყიან, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლაში, რაც დახმარებას გვიწევს გამოვამჟღავნოთ ჩვენი ნაკლი და მტრების მახინაციები.

სიფხიზლე იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კომუნისტს მჭრელი თვალი ჰქონდეს და სცდილობდეს თავისი პარტიული თვალით შეიჭრას ყველა კუთხესა და ჭუჭრუტანაში, მას ყველაფერი უნდა აინტერესებდეს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს თვითეული კომუნისტის, თვითეული კომკავშირელის, თვითეული არაპარტიული ბოლშევიკის იმ მუშაობის გაუმჯობესებაში, რომელიც მიმართულია პარტიის ამოცანების და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისაკენ.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის გაძლიერებას, მაგრამ არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ საბოლოოდ გასწმინდა პარტია მტრებისაგან. არ შეიძლება ფიქრი, რომ, ვამხილეთ რა მთელი რიგი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები, ჩვენ უკვე გამოვამჟღავნეთ და გავრიყეთ ყველა ეს გარეწარი და არამზადა. პარტიაში ჯერ კიდევ დარჩნენ კონსპირირებული, მიმალული მოსისხლე მტრები, ჯერ კიდევ ყველა თვალთმაქცი როდია გამომჟღავნებული. ჯერ კიდევ კარგად

უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ აშმორებული ტროცკისტულ-ზინოვიევური იატაკქვეშეთიდან მზის სინათლეზე გამოვათრიოთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმალული მტრები.

თვითეული პარტიული ორგანიზაცია ფხიზლად უნდა იცავდეს თავისი რიგების სიწმინდეს, ვინაიდან იქ, სადაც ბოლომდე არ არიან გაწმენდილნი პარტიიდან თვალთმაქცები, გადაგვარებულნი, დაუდევარნი, კარიერისტები, წამგლეჯები, გახრწნილი ელემენტები და სხვ., იქ კონტრრევოლუციონერ-ჯაშუშ-დივერსანტ-ტროცკისტ-ზინოვიეველს აქვს ნიადაგი თავისი მუშაობისათვის, პოულობს თავის მეგობრებს, რაზმავს კადრებს თავისი კონტრრევოლუციური ტერორისტული მუშაობისათვის.

მხოლოდ დაუღალავი, ფხიზელი ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის რიგების ერთიანობისა და სიწმინდისათვის უზრუნველჰყოფს სოციალიზმის მტრების საბოლოო მოსპობას.

სოციალიზმის საერთაშორისო და შინაური მტრები არაერთხელ ცდილან აეღოთ გეზი ამიერ-კავკასიაზე თავიანთი კონტრრევოლუციურ ზრახვებში.

ამიერ-კავკასიას მთელი რიგი თავისებურებანი აქვს, რომლებიც განასხვავებენ მას საბჭოთა კავშირის ბევრი მხარისა და რესპუბლიკისაგან.

წარსულში ამიერ-კავკასიაში ძლიერი იყვნენ მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ანტისაბჭოთა პარტიები; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ძლიერი იყო ნაციონალიზმი, ნაციონალ-უკლონისტური დაჯგუფებანი პარტიული ორგანიზაციების შიგნით.

ეს თავისებურებანი აგრეთვე მდგომარეობენ რთულ სამეურნეო და ნაციონალურ ხლართში, რომელიც დამატებითს სიძნელეებს ჰქმნიდა სოციალისტური შენებლობისათვის.

მტერი არაერთხელ ცდილა გამოეყენებინა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მუშაობის ეს თავისებურებანი და სიძნელეები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ტროცკისტები და ზინოვიეველები პარტიის წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლის მთელ მანძილზე, გამცემლობისა და ღალატის მთელ თავიანთ საზიზღარ გზაზე ცდილობდნენ ეპოვათ დასაყრდენი ამიერ-კავკასიის ცალკეულ პუნქტებში.

ლომინაძე, ტერ-ვაჰანიანი, ვარდინი და სხვები ტყუილად კი არ „სეირნობდნენ“ შავი ზღვის ნაპირზე და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ქალაქებში, და ცდილობდნენ გაებათ კავშირი და შეეგროვებინათ ადამიანები კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მშვენივრად იციან თავიანთი მუშაობის თავისებურებანი და სიძნელეები.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ არიან აღზრდილნი, მისი გენიალური წინამძღოლობით გაანადგურეს ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ძალები, გაანადგურეს ნაციონალ-უკლონიზმი, შეჰქმნეს ურღვევი

შშვიდობიანობა ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში.

მათ მთელ პარტიასთან ერთად დაამარცხეს ყოველგვარი ოპოზიცია და დაჯგუფებანი თავიანთ საკუთარ რიგებში, მათ მთელ პარტიასთან ერთად გაანადგურეს კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები და ზინოვიეველები.

და დღეს, როდესაც ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციის უმსგავსი ნაბოლარები ცდილობენ ახალი თავდასხმები მოაწყონ სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, აძლიერებენ რა ბოლშევიკურ სიფხიზლეს, მტკიცედ დგანან **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმის სადარაჯოზე.

ისინი დაუნდობლად ააშკარავებენ და თავის რიგებიდან ერეკებიან ყველას, ვინც სიფხიზლეს ასუსტებს და მტერს ხელს უწყობს.

ისინი მთელ პარტიასთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ დედამიწის პირისაგან აღგავონ და საბოლოოდ და სამუდამოდ მოსპონ სოციალიზმის მტრები.

VII

სოციალიზმისადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი და პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებისადმი ძხეცური სიძულვილით, თავისი უძლურებისა და უსუსურობის შეგნებით, კარიერისტებისა, შკურნიკებისა და მაროდიორების საძაგელი სულის პატრონი მტრები დაადგნენ სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ ტერორის გზას.

სწორედ ესენი — ტროცკისტები, ზინოვიეველები — არიან მოწინავე კოლმეურნეობათა ცალკე ხელმძღვანელებისა და სტახანოველების ფარულ საზიზღარ მკვლელობათა ორგანიზატორები სოფლად.

სწორედ ესენი არიან, ცალკეულ მუშათა სასადილოებში საჭმელში საწამლავს რომ ურევენ, რათა ქარხნის საუკეთესო სტახანოველები მოსწამლონ.

სწორედ ესენი არიან, ჯაშუშთა და სადივერსიო ჯგუფებს რომ აყალიბებენ, რათა ხელი შეუწყონ ფაშისტებსა და იმპერიალისტებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

სწორედ ესენი არიან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ხელყოფის მოსამზადებლად ტერორისტულ ჯგუფებს რომ ჰქმნიან.

მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან თავის ანგარიშში.

თავისი სასიკვდილო აგონიის დროს ამ მუქარით ისინი ვერავის დააშინებენ, ვერავის შეარყევენ.

ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკები და მშრომელი მასები გააძლიერებენ სტალინურ სიფხიზლეს და მტერს მოსპობენ.

ამხანაგი **სტალინი** ამბობდა: მტრები „იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ დავეშინებინეთ და იძულებული გავეხადეთ გადაგვეხვია ლენინური გზიდან. ამ ადამიანებს, ალბათ, დავიწყებიათ, რომ ჩვენ ბოლშევიკები, — განსაკუთრებული ყალიბის ადამიანები ვართ. მათ დავიწყებიათ, რომ ბოლშევიკებს ვერ შეაშინებთ ვერც სიძნელეებით, ვერც მუქარით. მათ დავიწყებიათ, რომ ჩვენ გვაწრთობდა

დიდი **ლენინი**, ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელმაც არ იცოდა და არც სცნობდა შიშს ბრძოლაში. მათ დავიწყებიათ, რომ რაც უფრო მეტად ცოფდებიან მტრები და რაც უფრო მეტი ისტერიკა მოსდით მოწინააღმდეგეებს პარტიის შიგნით, მით უფრო მეტად იკაჟებიან ბოლშევიკები ახალი ბრძოლისათვის და მით უფრო სწრაფად მიიწევენ წინ".

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს დავიწყებიათ, რომ ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ხელმძღვანელობენ სტალინური ცენტრალური კომიტეტი და გენიალური დიდი ბელადი სტალინი — ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელიც არ სცნობს ბრძოლაში შიშს და მხოლოდ წინ მივყევართ, რომელიც გვაძლევს ბოლშევიკური სიფხიზლის ნიმუშებს და მტრების მახვილს არიდებს პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც როგორც დარაჯი, დგას ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების საგუშაგოზე.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები მთელ პარტიასთან ერთად კიდევ უფრო აამაღლებენ შემტევ სიფხიზლეს და გააძლიერებენ დაუნდობელ ბრძოლას თვალთმაქცების, საზიზღარი მოღალატეებისა და გამცემლების, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველებისა და მათი ხელისშემწყობების წინააღმდეგ, გააცამტვერებენ სოციალიზმის მტრებს.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები თვითეულ კომუნისტსა და კომკავშირელს, თვითეულ მშრომელს დაუღალავად აღუზრდიან ღრმა სიძულვილს მტრების მიმართ, და მასების მძვინვარებას გააძლიერებენ განადგურებული ექსპლოატატორული კლასებისა და მათი აგენტურის ნარჩენთა კონტრრევოლუციური ხრიკების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელების გულში შემდეგაც დაუღალავად აღზრდიან სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას თავისი აყვავებული საშშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობისადმი, ხალხთა ბელადის, მშობლიური, დიდი **სტალინისადმი**, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირში მოპოვებულია კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი გამარჯვება სოციალიზმისა და რომლის ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიოს მშრომელები კაპიტალიზმთან გადამწყვეტ შეტაკებებში დიად გამარჯვებებს მიაღწევენ.

მეჯი რევოლუციონური სიფხიზლე

12 753

დიადი საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული **ლენინ-სტალინის** უძლეველი დროშის ქვეშ, წარმატებით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას, ამყარებს ბედნიერ ცხოვრებას—თავისუფალი შრომის სამყაროს.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ გამოხატულია სოციალიზმის პირველი სამშობლოს—საბჭოთა ქვეყნის უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. პირველად კაცობრიობის მთელ ისტორიაში ჩვენი ქვეყანა ნამდვილად ანხორციელებს დემოკრატიის უმაღლეს პრინციპს. პიროვნების თავისუფლების, რასებისა და ერების სრული თანასწორობის, მასებისათვის თავისუფალი შრომის, დასვენებისა და განათლების უზრუნველყოფის დიადი იდეები ჩვენს ქვეყანაში ხორცშესხმულ რეალობად იქცა. ამიტომაც ჩვენი სამშობლო ყოველდღიურად იძლევა სოციალისტური შრომის უჩვეულო რეკორდებს. ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა და მძლავრად გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, რომელიც, სახელისა და გმირობის საქმედ ქცეული, შრომის სასწაულებრივ შედეგებს გვაძლევს.

და რაც უფრო დიდია სოციალიზმის გამარჯვებები, რაც უფრო მტკიცე და შეურყეველი ხდება საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრება, მით უფრო დიდია განადგურებული კონტრრევოლუციის უკანასკნელი ნამსხვრევების გაცოფება და მათი სიძულვილი მუშათა კლასის საქმისადმი. ხალხის მოსისხლე მტრები, რომელთაც ესმით რევოლუციური საბჭოთა ხალხის ძლიერება, გადადიან ბრძოლის მუხანათურ, ფარულ და ავაზაკურ მეთოდებზე.

კლასთა ბრძოლის ისტორიას არ ახსოვს რეაქციის მოციქულთა ისეთი ვერაგობა და მუხანათობა, როგორსაც მიაღწია კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდამ, საერთაშორისო ფაშიზმის ამ სისხლიანმა აგენტურამ.

ტროცკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ცენტრის გასამართლებამ მთელი ქვეყნისათვის ნათელი გახადა, თუ რამდენად მოღალატურ და ვერაგულ გზას დაადგა ხალხისაგან საბოლოოდ გარიყული და სასიკვდილოდ განწირული კონტრრევოლუციური ბანდიტების ეს ერთი მუჭა ხროვა.

ისინი დაადგნენ ტერორისა და ბანდიტიზმის გზას. მათ ფაშისტური გერმანიის პოლიციის (გესტაპოს) დახმარებით მუხანათურად მოჰკლეს საბჭოთა ხალხის საამაყო შვილი, პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი საუკეთესო მოღვაწე, დიდი **სტალინის** უსაყვარლესი თანამებრძოლი **სერგეი მირონის-ძე კიროვი.** და მას შემდეგ ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის სისხლიანი ბანდა შეეცადა სისხლით შესვრილი ხელი აღემართა საბჭოთა ხალხის და მთელი მსოფლიოს

მეცნიერებათა აკად. ... ი. ბერიძეშვილ...

მშრომელთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** და მისი სახელოვანი თანამებრძოლების წინააღმდეგ.

სისხლიანმა ავანტურისტებმა ვერ განახორციელეს თავისი შავბნელი განზრახვა. საბჭოთა ხალხის განუსაზღვრელი სიყვარული და ერთგულება **რკინის** კედელივით გარს არტყია დიდი ბელადის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა სიცოცხლეს. ავაზაკების ბანდა საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი ნებისყოფით განადგურებულ იქნა პროლეტარული მართლმსაჯულების სამართლიანი განაჩენით.

მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ განაჩენს, როგორც ხალხის სურვილისა და ნებისყოფის ზუსტ გამოხატულებას.

შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, კიდევ მეტი შეურიგებლობა კლასობრივი მტრის ნარჩენების მიმართ — ასეთი დასკვნა გამოიტანა საბჭოთა ხალხმა ტროცკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ბანდის გასამართლებისა და ღირსეულად დასჯის ფაქტიდან. ეს დასკვნა სავსებით შეეხება ლიტერატურულ ფრონტსაც. საბჭოთა მწერლების წინაშე მთელი სიმწვავით ისახება ამოცანა ლიტერატურული ფრონტის იდეური სიწმინდისათვის გაათკეცებული ენერგიით ბრძოლისა.

ცნობილია, რომ კონტრრევოლუციური ტროცკიზმი ყოველთვის ცდილობდა თავისი რეაქციური მიზნებისათვის გამოეყენებია მხატვრული მწერლობაც — მასების შეგნებაზე ზემოქმედების ეს ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი.

ტროცკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ბანდის ერთ-ერთი აქტიური წევრი პიკელი მთელი რიგი წლების განმავლობაში თვალთმაქცურად ატარებდა საბჭოთა მწერლის ნიღაბს. ამავე ტერორისტული ბანდის აქტიური მონაწილე ტერ-ვაჰანიანი ლიტერატურის დარგშიაც აწარმოებდა თავის მოღალატურ „მოღვაწეობას“ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში სცდილობდა შენიღბულად თავს დასხმოდა საბჭოთა ლიტერატურის იდეურ შემოქმედებითს პრინციპებს. ის გარემოება, რომ მოსკოვის მწერალთა კრებამ ერთსულოვანად განდევნა საბჭოთა მწერლობის რიგებიდან გამომჟღავნებული ტროცკისტები: ა. სელივანოვსკი, გ. სერებრიაკოვი, ტარასოვ-როდიონოვი, ი. კატაევი, გრუზდკაია, ტროშჩენკო, მოწმობს თუ როგორის გულმოდგინეობით სცდილობდა კონტრრევოლუციური ტროცკიზმი ლიტერატურულ ფრონტზე მოკალათებას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის ცნობილია ისიც, რომ სომხეთის საბჭოთა მწერლების ორგანიზაციაში გამომჟღავნებულ იქნა ხალხის მტრებისა და კონტრრევოლუციონერების მთელი ჯგუფი, რომელიც თავისი დაშნაკურ-შოვინისტური და კონტრრევოლუციური ტროცკისტული მიზნებისათვის თვალთმაქცურად იყენებდა საბჭოთა მწერლის სახელსა და ავტორიტეტს.

არც ქართული საბჭოთა ლიტერატურა ყოფილა დაზღვეული კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნაბოლარათა ცდებისაგან, მიტმასნებოდნენ ლიტერატურულ ფრონტს და საბჭოთა მწერლის სახელით ეკეთებიათ თავიანთი მოღალატური საქმე.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართველ საბჭოთა მწერლების კოლექტივმა ერთსულოვანად განდევნა თავის რიგებიდან ქიქოძე-ნაროუშვილი-ფეოდოსიშვილის კონტრრევოლუციური ტროცკისტული ჯგუფი.

აქტიური ტროცკისტის-ვარდინის ეს წვრილფეხა მაჩანჩალები მთელი რიგი წლების განმავლობაში ანვითარებდნენ კლასიური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხებში აშკარა მტრულ და მავნებლურ შეხედულებებს.

ისინი ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის, ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ კულტურული მემკვიდრეობის ათვისების ლენინური თეორიისათვის.

ისინი ცდილობდნენ გაებიაბრუებიათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები და შეეტანათ ლიტერატურულ ცხოვრებაში გულგატეხილობისა და დაბნეულობის განწყობილებანი. მათ სცადეს დაპირისპირებოდნენ საბჭოთა მწერლების შემოქმედებითს პოზიციას და „რომანტიული“ ფრაზეოლოგიის სამოსელით ობიექტურად თავს ესხმოდნენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. ამით მათ ჰსურდათ ქართული საბჭოთა ლიტერატურა აეცდინათ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის გამოხატვისა და ამ სინამდვილის განმტკიცებისათვის ბრძოლის ძირითად გზიდან. ამ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ჯგუფის წევრები ცდილობდნენ კიდეც თავიანთ „პრაქტიკაში“ დაეპირისპირებინათ მომავალი თანამედროვეობისათვის.

ისინი მთელი სიმკაცრით იქნენ მხილებულნი და განდევნილნი ჩვენი ლიტერატურის რიგებიდან. ჩვენ ვალდებულნი ვართ დაუნდობლად აღმოვფხვრათ ამ მავნებლურ-კონტრრევოლუციური მუშაობის ყოველი კვალი ჩვენი მწერლობის სინამდვილიდან.

კლასობრივ მტრის ნარჩენებისადმი სიფხიზლის მოდუნება, მისდამი შემარიგებლობა,— ეს დამპალი ლიბერალიზმი, მოღალატურ და მტრულ მოვლენას წარმოადგენს. საბჭოთა მწერლობის კოლექტივის გამჭრიახ თვალს არ უნდა გამოეპაროს კლასიურ მტრის არც ერთი შენიღბული განზრახვა.

ასეთი სიფხიზლე ვერ გამოიჩინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურ სექციის ხელმძღვანელობამ, რომელმაც სექციის რიგებში დატოვა და ლიტერატურაში მავნებლური მუშაობის საშუალება მისცა ტერორისტულად განწყობილ ტროცკისტ გეორქ ხალატიანს, მის შემდეგაც კი, რაც იგი ნიღაბახდილი და პარტიიდან გარიცხული იყო.

ქართველ საბჭოთა მწერლების საერთო კრებამ ერთხმად განდევნა საბჭოთა მწერლების რიგებიდან კონტრრევოლუციური ტროცკიზმის გაუსწორებელი ნაშიერი სევასტი თალაკვაძე, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ „მწერალ“ სევასტი თალაკვაძის აშკარა ხალტურულ და იდეურად მავნე „ნაწერებს“, მოწმობს, რომ ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების სარედაქციო მუშაობაში ყოველთვის როდია გამოყენებული რევოლუციური სიფხიზლისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ბასრი იარაღი.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე საბჭოთა ლიტერატურის წინაშე უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანებია დასმული. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით ზრდის ჩვენს ლიტერატურას, ყოველ მხრივ ხელს უწყობს მას, შეეხარის მის ყოველ მიღწევას და წარმატებას.

მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის ზრდისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს თვითკმაყოფილებისა და მიღწევებზე დამშვიდების საშიშროება. საბჭოთა მწერლობამ არცერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი წარმოადგენს კულტურის ფრონტზე რევოლუციურ კლასის მებრძოლ ძალას, რომლისგანაც მოითხოვს ქვეყანა დიდ იდეურ სიწმინდეს და რევოლუციურ პრინციპულობას.

საბჭოთა მწერლების კოლექტივმა კიდევ მეტად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე ანტიპროლეტარულ იდეოლოგიის ნარჩენების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კი მწერალთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი, კოლექტიურ-შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერება წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს შეეხება ახალგაზრდა მწერალთა თაობას, რომლის იდეურ-აღმზრდელობითი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა კადრების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს დაუღალავი შრომა **მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის** მოძღვრების ღრმად შესათვისებლად. მათი შემოქმედებითი ზრდის აუცილებელი პირობაა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ზედმიწევნითი ცოდნა და **ლენინ-სტალინის** პარტიის იდეებით ღრმად შეიარაღება.

საბჭოთა მწერლობამ არა მარტო უნდა შეუვალი გახადოს თავისი რიგები შენიღბული კლასობრივი მტრისათვის, არამედ მხატვრულ საშუალებათა მთელი სიძლიერით უნდა გააღვივოს ხალხის გულში კიდევ მეტი ზიზღი და მძულვარება სოციალიზმის მტრებისადმი.

მეტი რევოლუციური სიფხიზლე და შეურიგებლობა კლასობრივი მტრის ნარჩენებისადმი, ამას გვასწავლის **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია და ხალხთა დიდი ბელადი ამხ. **სტალინი**. აქეთკენ მოგვიწოდებს საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** წერილი **„გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“**, რომელიც ღრმად უნდა შეისწავლოს საბჭოთა მწერლების კოლექტივმა და ჩვენი ლიტერატურის ახალმა თაობამ.

ᲖᲘᲛᲠᲐᲖᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ᲛᲐᲓᲠᲔᲙᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲛᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ

ბაღს აუხილა მებაღემ თვალი,
აჰყვა შხუილი ნიავის ნათქვამს,
აუზის შუა ავარდა წყალი
და მარმარილოს ხესავით დადგა.

აუზის შუა ავარდა წყალი,
იმსხვრევა, შხუის შხეფების მტვერი.
ონკანში დუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს,—იქუხა, იცვალა ფერი.

რა შრიალია! ჩიტებმა შურით
შხეფების ჩურჩულს დაუგდეს ყური.

დგანან ჭადრები და ჭადრებს იქით,
სადაც მავთული გაუბამთ ეკლის,
ზვიადი მზერით, ამაყი ფიქრით,
გასცქერის ქალაქს პოეტის ძეგლი.

დგანან ჭადრები ნანამი თქორით,
პუშკინის ძეგლი ჩვენს ქუჩებს ზვერავს,
დგანან ჭადრები და ჭადრებს შორის
ხე—მარმარილო იტაცებს მზერას.

შემოტრიალდი, ქუჩებს რომ ზვერავ,
ერთი, ამ ხესაც მოაპყარ მზერა.

ბახჩისარაის შადრევნის სურნელს
შენ ეზიარე მთვარიან ღამით,
წყლის გაგიჟება გიყვარდა თურმე
და სასახლენი გირეი ხანის.

აქ არც გირეის სასახლენია,
არც მუჰამედის ნახევარ-მთვარე,
ეს შადრევანი აქაც შენია,
შენგან ნაქები შეგხარის მხარე.

უცებ რომ ქარი გაჩნდეს ამ ხეზე,
ალმასის შხეფებს დაგაყრის მხრებზე.

აუზის შუა იმსხვრევა წყალი,
აბოლდა ბაღში შხეფების მტვერი;
ონკანში დუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს,— იქუხა, იცვალა ფერი.

გულს გარინდება მოკლავს, თუ მოკლავს.
ლექსს მოედება დუმილის ხავსი.
ნუ გადაკეტავ, მებაღეო, ონკანს;
პოეტს შადრევნის შხეფები ასვი.

პოეტს შადრევნის შხეფები ასვი,
მისი ლექსების შხეფების მსგავსი.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

ᲑᲐᲦᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

რა საამურად შრიალებს ბაღი,
მხურვალე ვული მიიწევს მისკენ.
სახეში ოქრო ღიმილებს მაყრის,
ლურჯ ფოთლებიდან ლიმონი მიცქერს.
საკრებულოა აქ კეთილ ხეთა.
არის ბაასი მათ შორის ღამით.
ყელმოღერებით ზღვის პირას სხედან
და ირხევიან აშოლტილ ტანით.
მინდა ალერსი დავსტოვო ჩემი,
ვდგავარ ნაწვიმარ ლურჯ ბაღის კართან,
და მაცქერდება მაღლიდან თხემი,
ზედ მთვარე ზის და ოქროს ძაფს ართავს!
გოგო ტოტებ-ქვეშ ალერსით მოდის,—
შორს-კი მდინარის ისმის თარეში,—
სხივებს შეაფრქვევს მას ოქროს ზოდი
მხურვალე გრძნობით სავსე თვალებში!
წვრილი ეკალი შეესო ფეხში,
როცა ლიმონებს უცქერდა მაღლა.
მისი თვინიერ თვალების ეშხი
ბაღში კიაფობს უმწიფეს მაყვლად!
ანათებს სახე ვარდისფერ ალით,
ასხიათ ხეებს ელნათურები.
ნერგებში სტოვებს სიმღერას ჩავლით,
ხენი უცქერენ, როგორც სტუმრები.
საკრებულოა აქ კეთილ ხეთა,
არის ბაასი მათ შორის ღამით.
მწვანე ხავერდზე მდიდრულად სხედან
და ისუნთქავენ ზღვის ჩხრიალს ტანით!

ჩამოუარა ყველას ალერსით,
კაცის ალერსი სწყურიათ ხეთა.
სუფევდა გრძნობა უმხურვალესი,
მთვარემაც გრძნობით გადმოიხედა!
საკვირველია ლიმონის ტანი,
მისი სისხლი და ხორცი სურნელი,
უგრძნობისათვის გრძნობის მომტანი,
განმკურნებელი განუკურნელის.
ზღვას ურევია ტალღებში ვერცხლი,
ვერცხლის კოვზების მაგონებს ჩხრიალს
ანთია ბაღში უკვამლო ცეცხლი
და მოლზე მაინც ალმასი ჭყრია!!



ფიქრები ლაჟვარდში

ფრთხილად გადახველ
დაბროლებულ არწივის ფრთაზე.
მხრებგამართული ნიშანს მოელი...
ესალმებიან
შენს გმირობას და სილამაზეს
მშობელი ქვეყნის მიდამოები.

ახდა ნიშანიც,
გადაეშვი წარბშეუხრელი...
ზეცას მივარღვევთ მე და პილოტი.
ფრთებს გვაბერტყავენ
მოკამკამე თეთრი შურთხები
და ლაჟვარდები უნაპირონი.

მიადეგ მიჯნას...
პარაშუტი აფეთქდა უცებ,—
შევარდენივით შეჰკარ კამარა...
შეაფრიალებ
გამარჯვების მეათე ფურცელს,—
და მეგობრებთან მიჰქრი თამამად...

მსურს ავხმიანდე
სამაისო წვიმის შხაპუნით,—
და შესადარი გიმღერო ქება.
არ დავდუმდები,
როგორც ქვევრი ამოხაპული...—
ბეჭის ფრთებიდან გრიგალი დგება!..

გაზაფხულია,
დასარტყლულა მწვანე ფარჩებით:
ზვრები, მინდვრები, სერების გროვა.
მთაში ჩახჩახებს
უამრავი ლურჯი ჩანჩქერი:
— სიყვაოულის და გმირობის დროა!..

გაზაფხულია,
ძვლები თბება, სისხლი ჩქრიალებს.
ქვეყანა მღერის, ქვეყანა ხარობს!..
გასწი, არწივო,
სილურჯეში შეგვაგრიალე,—
რომ ჭაბუკობის დღე მოვიხმაროთ!..

ამღერდნენ: თესლი ვარჩიოთ,
მზეზე ვაკაჟებთ ქარ-მუხლებს.
დილის ცა ჰგავს სათარჩიოდ [1]
შესაკერ საახალუხეს.

დაბერტყეს ოქროს კალთები,
ისმის სიმღერა ბუნების,—
მღერიან, თითქოს ანთებით,
შორს მწყემსთა სალამურებიც.

ვხედავ, კარგებო! ქორ-ნიავს
შორს მიაქვს თქვენი სიმღერა.
ტყეც ისმენს,—ასე მგონია,
მთამ ყელიც კი მოიღერა.

სხვა უფრო რა გვიხაროდა,
მზე გვადგას ნათელთვალება.
აკიდოები ტაროთა
ყანებს აანთებს ალებად.



[1]) თარჩია—ჯირითის ერთი სახეა სამეგრელოში.

ტიტე ჯვარშეიშვილი
ბერიას სახელობის ვაგ. შემკ. ქარხ.
სტახანოველი მუშა.

სტახანოველის სიმღერა

ვიყავ ჯერ კიდევ სოფლელი ბიჭი,
აქ ქარხანაში როცა მოველი.
ვისწავლე შრომა, გამეხსნა ნიჭი
და დღეს მუშა ვარ სტახანოველი.

ვდგავარ დაზგასთან ჯანსაღი სულით,
გმირულ შრომაში ვპოულობ შვებას,
შრომის ტექნიკას დაუფლებული,—
მრწამს, არ შევარყევ ჩემს მტკიცე ნებას.

მკლავებში მოსჩქეფს ვაჟკაცის სისხლი
და გული ჩემი ვეფხივით ბორგავს.
აღარ მაწუხებს თვალებში ნისლი,
სწრაფად ვაბრუნებ ჩემ დაზგის ბორბალს

მაღლა ასწიეთ თქვენც შრომის დროშა,
თან გააკაჟეთ გული და მკლავი.
გვიყვარდეს შრომა, ვუმღეროთ შრომას
სტახანოვური ჰარი-არალი.

ორწივი

ეგ თვითმფრინავი ელვაზედაც უსწრაფესია,
სტოვებ მიწას და აიჭრები ლაჟვარდში რხევით.
რამდენი თვალი ფრინველივით შემოგესია,
უსაზღვროებას გაბედულად გადაეხვევი.
ადგა გრიგალი... მასთან შენი ბრძოლა ავდება,
მძლავრი ხმაურით შეაშფოთეს ღრუბელთა ფარა.
ხარბობ სიმაღლეს, თვითმფრინავი პატარავდება,
ხმას ვინ მოგაწვდენს,—შემოგძახოს: „გეყოფა, კმარა!“
ისე შორს წახველ, რომ ვარსკვლავზე ხელი გევლება,
სამშობლოსადმი სიყვარულით მოძრაობს მაჯა.
ეგ თვითმფრინავი მიწას სარტყლად შემოევლება,
მიწაზე ჩვენ და შენ კი ცაში გასწიე გარჯა:
იფრინე ლაღად, ხარ მგრეველი ნისლების მადნის.
შენ სიხარული ცას დაჰკიდე ცისარტყელებად.
ჩამოგვიტანე: საბჭოთა ცის სიტკბო და მადლი.
იფრინე, რადგან გამბედავ გულს ასე ენება.
რა არის კრთომა? წინ ისწრაფვის ამაყი გული,
ცაში თარეშის სიძნელეთა დალეწე ფარი.
მაგ თავდადებით მტერი დარჩეს შეშფოთებული
და უბერავდეს მისკენ მუდამ წუხილის ქარი.
შემოგნატრიან: „ახ, ნეტავი ჩვენც ვიყოთ მანდა!“
გრიგალიც გახდა შენთან ბრძოლით უძლური მძიმედ.
შენთან სივრცეში დააქროლებ ლენინურ მანდატს,
კომკავშირელის სიხარულსა და მთავარ იმედს.
ეშვები დაბლა... მიწამ მკერდი გადაგიშალა.
და დაინახავ სახეებზე სიხარულს ულევს.
ზეციდან მიწას ჩამოუტან მხურვალე სალამს,
გვეტყვი: მნათობთა ოჯახში რა მოინახულე!

ალ. იასაღიშვილი

როდესაც გია ჯარში გაიწვიეს, მისი ცხოვრების ერთი ხანა დამთავრდა და მეორე, ახალი დაიწყო.

მთებში მივარდნილ, მიყრუებულ სოფლის შვილს, რომელსაც რამდენიმე კილომეტრზე მდებარე რაიონის ცენტრიც კი არ ენახა, ქალაქი რაღაც ზღაპრულ სანახაობად მოეჩვენა; ყაზარმა კი, რომელიც პირქუშ და მიუკარებელ ადგილად წარმოედგინა, ახალ, ლამაზ ცხოვრების სათავედ შეეგება მას. მრისხანე უფროსები, რომლებიც მისი წარმოდგენით, გინებით უნდა დახვედროდნენ ყაზარმაში, საუკეთესო, გულთბილ, მოსიყვარულე უფროსი ამხანაგების სახით შეეგებნენ. მათ მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანიც კი ეინტერესებოდათ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩამორჩენილ კუთხეებიდან ჩამოსული გიასთანა ახალგაზრდები ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით აღეზარდათ.

ბოროტი, შუბლშეჭმუხვნილი, ბრაზიანი მეთაურის ნაცვლად, რომელსაც იგი მოელოდა, მუდამ მომღიმარი პოლიტხელი მიუჯდებოდა ხოლმე გიას გვერდით და საათობით ესაუბრებოდა, ასწავლიდა და ეს მოპყრობა იყო იმის მიზეზი, რომ მთის შვილი გია, ანუ „მინდვრის მგელი“, როგორც მას სოფლად უწოდებდნენ, სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მთლად შეიცვალა. ძველი იერიდაკარგა და ახალი ცხოვრების შეთვისებას ხარბად დაეწაფა.

— ეჰ, ამხანაგო პოლიტხელო, ჩემი ბრალი არ იყო, რომ პირველად, როდესაც აქეთ მოვდიოდი, ყაზარმისა მეშინოდა. — არა ერთხელ უთქვამს გიას ასეულის პოლიტხელისათვის.

დედ-მამა რომ დამეხოცა რვა წლისა ძლივს ვიქნებოდი. სიმშილით რომ სული არ ამომძრომოდა, იძულებული შევიქენი მოჯამაგირედ დავდგომოდი სოფლის ბობოლა გლეხს თედოს, რომელსაც მთელი სოფელი ხელში ეჭირა. თითის ტოლა ბალღს იმდენ საქმეს მაკეთებინებდნენ, რომ მის გაკეთებას შეღერებული ვაჟკაციც კი ვერ შესძლებდა. დილით ჯერ ისევა ბნელოდა, როდესაც ვდგებოდი და კარგა დაბინდებამდე დასვენება არ ვიცოდი. კულაკის ნახირს მე ვუვლიდი, გუთანს მე მივსდევდი, ღამის ხარში მე დავდიოდი, ხელზე მე ვემსახურებოდი და კიდევ ვინ ჩამოსთვლის რამდენ რას მაკეთებინებდნენ. ჩემი საჭმელი კი ერთი დაობებული პური იყო, ლოგინად დაგლეჯილი ფარაჯა მქონდა. ტანისამოსად კი ათჯერ გამონაცვალი და ათას ალაგს დაკონკილი შარვალ-ხალათი და წინდა-ქალამანი.

— კარგი და, ნათესავი ან პატრონი არავინ გყვანდა?

— ნათესავი ვინ მყვანდა, ამხანაგო პოლიტხელო. ერთი მოხუცი პაპა, რომელიც თითონაც ნახევარზე მშიერი იყო და ჩემი ჯამაგირიდან წელიწადში ერთ თუმანს მას ვაწვდიდი, რომ სიმინდი ეყიდა და სიმშილით არ მომკვდარიყო. შემდეგაც თავისი არ დაიშალა ჩემმა ბატონმა, ჩემთან დამოკიდებულება თითქმის არც კი შეუცვლია. პირიქით, ხშირად ჩაილაპარაკებდა ხოლმე, როდესაც რაიმე უკმაყოფილებას შემამჩნევდა: „მოიცა, მალე ჩემი დროც დადგება და მაშინ ნახე ტყავის გაძრობაო“. მოგეხსენებათ, ჩვენი მხარე მთლად მოწყვეტილია ქალაქს, იქ ეგრე ადვილად ვერ ნახავდა კაცი ჭკუის დამრიგებელს, ადგილობრივთაგანი კი ვინ გაბედავდა, როდესაც ყველა დაშინებული ჰყვანდა. მართალია, ბოლო ხანებში, როდესაც მისი მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა, შეიძლებოდა ამის გამოსწორება, მაგრამ ჩემი სისულელით თუ უპატრონობით გზას ვერ ვიგნებდი.

ერთხელ მენახირე ბიჭებმა მირჩიეს კომკავშირში ჩაეწერეო, მაგრამ ჩემმა ბატონმა საშუალება მომისპო კომკავშირის სასოფლო უჯრედში მისვლისა და კომკავშირელებთან შეხვედრაც კი ამიკრძალა. მისი უფროსი შვილი აშკარად მემუქრებოდა, რომ „ღორივით ყელს გამომჭრიდა“, თუ გავბედავდი და კომკავშირს ახლოს გავუვლიდი. სოფელსაც დავიწყებული ვყვანდი და მეც თითქმის დამავიწყდა სოფელი. როდესაც საკოლმეურნეო მოძრაობა დაიწყო, მე დავაპირე გაქცევა, მაგრამ სიკვდილის შიშმა შემაკავა და მართლაც ისე გავგარეულდი, რომ სოფლად „მინდვრის მგელი“ დამარქვეს და ყურადღებასაც კი არავინ მაქცევდა.

— კლასობრივი მტერი ყოველ მხრივ ცდილა შენს დაჯაბნებას და ნაწილობრივ მიუღწევია კიდეც მიზნისათვის.

— ჯარში რომ გამიწვიეს, მაშინ ოდნავ მომიტკბა ჩემი ბატონი. „აბა ჯარში რა გინდა, რომ მიხვალ, იცი იქ რა დღეში ჩავარდები! — მელაპარაკებოდა იგი. — ტყავს გაგაძრობენ, მშიერ-მწყურვალს გამყოფებენ, დღე და ღამე მოსვენება არ გექნებაო, იმისთანა დღეში ჩავარდები, რომ გაჩენის დღეს იწყევლიდეო. თუ არ გჯერა, ვანოსა ჰკითხეო, და მოწმედ თავისი უფროსი შვილი ვანო მოჰყვანდა ხოლმე. მეც, სიმართლე მოგახსენოთ, ერთის მხრივ კინაღამ დავიჯერე კიდეც მისი ჭორები და კინაღამ თავი ავარიდე ჯარში წამოსვლას. თავს რაზე დავიღუპავდი?

— მერე რა წააგე, ჯარში რომ მოხვედი?

— წავაგე. კი არ წავაგე, დავკარგე, ამხანაგო პოლიტხელო, დავკარგე.

პოლიტხელმა გაკვირვებით თვალები დააჭყიტა.

— დიახ, დიახ, დავკარგე... კულაკის მონობა დავკარგე. „მინდვრის მგლის“ სახე დავკარგე, წერაკითხვა შევისწავლე, კომკავშირის წევრი გავხდი და ალბათ მალე სრულ ადამიანად ვიქცევი კიდეც.

— შენ უკვე ხარ სრული ადამიანი, ჩემო გია, — თვალები გაუბრწყინდა პოლიტხელს. — არასრული ადამიანი ასე საღად ვერ იმსჯელებს.

— ასეთი მსჯელობა ჯარში ყოფნამ მასწავლა და არც მოვშორდები მას არასოდეს.

და მართლაც, გია სასწაულებს ახდენდა წარმატებებში. წერაკითხვა სამაგალითოდ შეისწავლა, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოწინავე წი-

თელარმიელად ითვლებოდა, იშვიათი ნიჭი, გულისყური და მეხსიერება აღმოაჩნდა და უმცროსი მეთაურის ხარისხიც კი მიინიჭა. როდესაც სავალდებულო სამსახურის შემდეგ ზემსახურად დარჩენის სურვილი განაცხადა, ლეგიონის სარდლობამ სიამოვნებით დასტოვა იგი, ერთი წლის შემდეგ სამხედრო საფრენოსნო სკოლაშიაც კი მიავლინეს.

გიას სოფელი მშრალხევი ქალაქიდან დღენახევრის მანძილზეა დაშორებული. გზატკეცილი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაიყვანა, მანამდე კი ერთი უბადრუკი საურმე გზითა და რამდენიმე საცალფეხო ბილიკით უკავშირდებოდა რაიონის ცენტრს.

ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მშრალხეველები არც თუ ისე ხშირი სტუმრები იყვნენ ქალაქისა. ახალგაზრდობა თუ წავიდოდა, თორემ ხნიერთ სად ჰქონდათ საქალაქე თავი. და ყველა ის „სასწაულები“, რომლებიც ქალაქიდან ამოჰქონდათ სოფლად ახალგაზრდებს, ბევრს მკვიდრთაგანს მთლად მოჭორილ ამბად თუ არა, გაზვიადებულად მაინც მიაჩნდათ.

ოდესღაც ჩამორჩენილი და ნიადაგ ბნელში მყოფი მშრალხევი, რომელიც გვალვასა და ავდარს „ლაზარე“-თი ებრძოდა, დღეს რაიონში მოწინავე სოფელთა რიგში დგას. კულაკი მათე ვეღარ პარპაშებს, შემძვრალა თავის ნაჭუჭში და იქიდანა სცდილობს დაარღვიოს წონასწორობა კოლექტივში, მაგრამ კოლმეურნეებმა კარგა ხანია მას კბილი გაუსინჯეს და აღარ ეგებიან ანკესზე.

მშრალხევის კოლექტივი „ახალი ცხოვრება“ სანიმუშოა, კომკავშირის ორგანიზაცია კი— ძლიერი და შეუდრეკელი მებრძოლი ახალი, ჯანსაღი და შეძლებული ცხოვრების მოპოვებისათვის. ახალგაზრდობის თაოსნობით კულტურულად არის მოწყობილი შრომა და დასვენება, ამიტომაც არის, რომ სოფლად ყველა გაერთიანებულია კოლმეურნეობაში, თითო-ოროლა ნაკულაკარის გარდა და ამჟამად კაცი ვეღარ ნახავს იქ ჩამოგლეჯილსა და მშიერს. კოლექტივმა ქალამნის ჯღანები შნოიანი ფეხსაცმელებით შესცვალა, ჩამოძონძილი ახალოხები კოხტა ტანისამოსით, უბადრუკი და ნესტიანი მიწურები მიწასთან გაასწორა და მათ ადგილას კრამიტგადაფარებული ქვითკირის ბინები წამოჭიმა. ლობიოს ნატრულებს კი ყუათიანი საჭმელ-სასმელით აუვსო დღეს უკვე ბარაქიანი ოჯახი.

კოლექტივის სათავეში შვებული წითელარმიელი ილაა, ყოფილი მოჯამაგირე.

— რა ვიცი, შვილო, ჩემ დროს ჯარი სატუსაღო იყო, დღეს კი სკოლად გადაქცეულა, — არაერთხელ უთქვამთ ილასათვის. — ვიდრე ჯარში წახვიდოდი, ერთი თავის უბედური რაღაცა იყავი, გაუგებარი, ბედოვლათი... წახვედი ჯარში და... რა ვიცი, სასწაულია, სწორედ სასწაული.

— აბა რა გგონია, ახალი ცხოვრება ჩვენია, ღარიბი ხალხის, იქ წითელ ჯარშიც ჩვენისთანავე ღარიბ ოჯახებიდან გამოსული მეთაურებია და ისინი გვზრდიან. — უპასუხებს ილა.

— მართალია, შვილო, მართალი. სხვისგან რომ გამეგო, ჭორად მივიღებდი, მაგრამ ჩვენის თვალით რომ ვუყურებთ, ბიჭი ხარ და ნუ დაიჯერებ.

— ეს რა არის. — იცის ხოლმე ილამ. — ჩვენებიანთ გია რომ იყო, აი კულაკ თედოს მოჯამაგირე, ამ ექვსი წლის წინათ ჯარში რომ წაიყვანეს. იმან ხომ მოიხადა ყავლი და მერე ზემსახურად დარჩა, რუსეთში გაუგზავნიათ სასწავლებლად და, მგონია მეთაურიც გამოსულა.

— ვინა, ბიჭო, გიაი?.. აბა რას ლაპარაკობ? წერა იმან არ იცოდა და კითხვა. ქართულს ხეირიანად ვერც კი ლაპარაკობდა და აბა რუსეთში მას რა უნდა ესწავლა? — უკვირს ზოგიერთს.

— რომელა გია, ბიჭო, „მინდვრის მგელი"? თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, აბა იმას ან რუსეთის თავი ვინ მისცა და ან მეთაურობისა, ერთი გაგარეულებული რაღაც იყო, სოფელს არც კი ეკარებოდა და თავის დღესა და საათს კულაკის ნახირში და მინდვრებში აღამებდა ხოლმე. — ჩაერევა მეორე.

— ნუ დაიჯერებთ და საფრენ.ისნო სკოლა დაუმთავრებიაო, გავიგე.

— კარგი, ერთი, მფრინავი არა, ეხლა ის არ გინდა! — ეჭვით შეხვდა ამ ამბავს სოფელი და არავინ დაიჯერა, თუ გია ოდესმე კაცი გახდებოდა.

მშრალხევის მკვიდრთ მხოლოდ გაეგონათ თვითმფრინავი, თვალით კი არ ენახათ.

უწინ, როდესაც ქალაქიდან ამოსული ახალგაზრდები მოუყვებოდნენ ხოლმე ხნიერთ, რომ იმისთანა მანქანები არსებობს: „სადაც კაცი ჯდება და ჩიტივით დაფრინავსო", ბევრს არ სჯეროდა, ნაწიდი კი ეშმაკეულს აწერდა და ბურტყუნებდა:

— ადამიანო, სად გაგონილა, რომ ადამიანმა ჰაერში იფრინოს, ჩიტი ხომ არ არის. მართალია, ჭიაკოკონობა ღამეს კუდიანმა ბებრებმა იცოდნენ ხოლმე ცოცხზე გადაჯდომა და გაფრენა, მაგრამ ისინი ხომ ეშმაკეულის ძალით დაფრინავდნენ. ადამიანი კი, ქრისტიანი კაცი თუ გაფრინდება, აბა რა დასაჯერებელია!

ეხლა, თუმცა, მშრალხევში არავის სჯერა ეშმაკეულისა, რადგანაც ამისი რწმენა სოფლიდან გაქცეულმა მღვდელმა თან გაიტაცა, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა კომკავშირმა საყდარი კლუბად გადააქცია. მართალია, აღარავინ ლაპარაკობს, რომ მფრინავებს „სული ეშმაკისათვის მიუყიდიათო", მაგრამ მაინც უკვირთ და მფრინავები წარმოუდგენიათ არა ჩვეულებრივი ადამიანების სახით, არამედ რაღაც განსაკუთრებულ პიროვნებებად, რომელნიც ყველაფრით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან და გიაი, მოჯამაგირე გიაი, „მინდვრის მგელი" თუ ფრენას ისწავლის, აბა რა დასაჯერებელია.

და აკი არცა სჯერათ მშრალხეველებს.

მშრალხევი გულის ფანცქალით მოელის თვითმფრინავის მოფრენას.

პატარა საქმე ხომ არ არის, ნამდვილი თვითმფრინავი უნდა მოფრინდეს და კოლმეურნეთა მინდვრებში გაჩენილი მავნებლები უნდა გაქლიტოს.

ორი დღეა, რაც აგრონომმა გამოაცხადა, რომ „მინდვრის მავნებლები ძალიან გამრავლდნენ და თუ არა თვითმფრინავით, სხვა ზომებით მათი გაჩანაგება შეუძლებელიაო".

— თვითმფრინავმა როგორ უნდა ამოჟღლიტოს მინდვრის მავნებლები, ზედ ტყვიამფრქვევლები სდგასო და აბა იმ ვერანა მავნებლებს ტყვიებს ხომ არ დაუშენს?—უკბილოდ ხუმრობს ზოგი, მაგრამ მაინც გულის ფანცქალით მოელის ხვალინდელ დღეს, რომ საკუთარი თვალით იხილოს „სასწაული“.

მეორე დღეს კოლმეურნეებს თვალი ცისაკენ ეჭირათ, საიდანაც აგრონომის მიერ დაბარებული და კოლმეურნეობის ცენტრის მიერ დანაპირები თვითმფრინავი უნდა გამოჩენილიყო.

მალე მოტორის გუგუნმა შეარყია ჰაერი. მთის მწვერვალიდან უშველებელი ლეგა ფრინველი მოსწყდა და მშრალხევის მინდვრებისაკენ გამოქანდა. მთელი სოფელი ქუდმოგლეჯილი გაეშურა, მხოლოდ ნაკულაკარი თედო და მისი თვალისჩინი ვანო ჩაიკეტნენ სახლში და გარეთ არ გამოსულან, რადგანაც არ უნდოდათ თავისი თვალით ენახათ თვითმფრინავის ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან.

თვითმფრინავი ისე დაბლა დაეშვა, რომ შიგ მჯდომის გარჩევაც კი შეიძლებოდა. როდესაც მფრინავმა ქუდი მოიხადა და კოლმეურნეებს დაუქნია, მთელი სოფელი ერთხმად აყიჟინდა.

— დაიცა, ვერან, არ დააფრთხო ი ჩიტი და არ გააფრინო აქედან!— ხუმრობით მიმართავს ერთი მეორეს, თვითონ კი უფრო ომახიანად გაჰკივის „ვაშა“-სა და „გაუმარჯოს“.

ორი საათის განმავლობაში დასტრიალებდა თვითმფრინავი კოლმეურნეობის მინდვრებს და აფრქვევდა საწამლავს. გაშტერებული კოლმეურნეები შესცქეროდნენ და უკვირდათ, როგორ დასრიალებდა ვეება მანქანა ჰაერში, რომელიც ხან თუ ზევით აიწევდა, ხან ისევ დაეშვებოდა დაბლა, თითქოს ეს არის ხელით მისწვდება კაცი.

მართალია, მშრალხეველებს ბევრი რამ გაეგონათ თვითმფრინავზე, უფრო მეტიც წარმოედგინათ, მაგრამ სინამდვილემ ყველაფერს გადააჭარბა. აბა რომელი ჩიტი დასრიალებს ჰაერში ასე სწრაფად, როგორც ეს ფოლადის ფრინველი. რა ვიცი მერცხალი თუ შეეჯიბრება, თორემ დანარჩენისა რა მოგახსენო.

თვითმფრინავმა მუშაობა დაამთავრა. კიდევ ერთხანს დაბორიალობდა მინდვრებზე და თანდათან მაღლა მიიწევდა. როდესაც ისე მაღლა ავიდა, რომ ჩვეულებრივ ფრინველის ოდენად-ღა სჩანდა და კოლმეურნეებმაც იფიქრეს, რომ უკვე გაფრინდებოდა, თვითმფრინავი ჰაერში გადმოყირავდა და რამდენიმე ყულფი გააკეთა.

კოლმეურნეებში ყრუ დრტვინვა გაისმა. ყველას გული უფანცქალებდა. ყველას ეგონა, ესეს არის მიწას დაეძგერება და ნამსხვრევებად იქცევა, ან მფრინავი გადმოვარდება და მთლად დაილეწებაო, მაგრამ არც თვითმფრინავი დაასკდა მიწას და არც მფრინავი გადმოვარდნილა.

— არა, ძმაო, შენ რაც გინდა სთქვი და შიგ თუ ნამდვილი ადამიანი იქნება, რა ვიცი, ვის გაუგია, რომ ადამიანმა ჰაერში ყირამალა იტრიალოს. ჩიტი ხომ ჰაერის შვილია, ბიჭია და ამისთანა რამეს იზამს.

და მართლაც, მფრინავი იმისთანა საკვირველებათ უჩვენებდა კოლმეურნეებს, რომ შიშისაგან მათი გული საგულედან ამოვარდნას აპირებდა. თვითმფრინავმა უკანასკნელი წრე შემოავლო, მარჯვენა ფრთაზე დაეშვა და ტყვიასავით

წამოვიდა მიწისაკენ. მაყურებლებს ხვნეშა ამოხდათ, მოელოდნენ რაღაც საშინელებას, მაგრამ ვიდრე მიწას მოაღწევდა, მეორე ფრთით გასწორდა, ხალხის თავზე გადასრიალდა და ვაკე ველისაკენ გაეშურა. თვითმფრინავი შემოტრიალდა, ამოარჩია ხელსაყრელი ადგილი, დაეშვა, გასრიალდა და გაჩერდა.

ხალხი გაქანდა თვითმფრინავისაკენ. კაბინის კარი გაიღო და იქიდან გამოვიდა ჩვეულებრივი ახალგაზრდა, სამხედრო ფორმაში კოხტად გამოწყობილი.

— გამარჯობათ, ძმებო, გაბა ველარ მიცანით თქვენი ძმა და შვილი?— შესძახა მან.

— რა ვქნა, ვინ არის ეს ბიჭი?—მირბიან და თან ერთმანეთს ეკითხებიან კოლმეურნენი.

— ჩვენი გიაი, ჩვენი გიაი!..—შესძახა თავმჯდომარე ილამ და გაქანდა.

— ვინ გიაი, ბიჭო, „მინდვრის მგელი“? თუ ძმა ხარ!

— რა ვქნა, რამ აგიბათ თვალები, თქვე ვერნებო, „მინდვრის მგელია“, აბა მართლა ეშმაკი კი არ არის.

ხალხი გიას შემოეხვია, ყველა სცდილობდა ხელი ჩამოერთმია და თავისი სიხარული იმითი გამოეხატა.

— ბიჭო და შენ იყავი ჰაერში რომ ალაყ-მალაყს გადადიოდი?

— მე ვიყავი, მერე რა არის?—იღიმება გია.

— შენთვის არაფერი, ზოგიც მე მკითხე.— გამოაღო თვითმფრინავის კაბინის კარი შეშინებულმა აგრონომმა და გამოძვრა.

— მაგას რომ სიკვდილ-სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდია, ზოგიც მე მკითხოს, მეც მინდა სიკვდილი თუ არა!—იძახის აგრონომი.

— ნუ გეშინიან, ძმობილო, სიკვდილი არც მე მინდა და იმისთანა არაფერი გამიკეთებია, რაც უბრალო და ჩვეულებრივ რამედ არ არის გადაქცეული რიგიანი მფრინავისათვის.

გაშტერებული ხალხი ძლივს დარწმუნდა, რომ ეს ის გაუთლელი გია, წერა-კითხვის უცოდინარი და გაგარეულებული გია იყო, რომელსაც ჯარში წასვლამდე კაცად არც კი აგდებდნენ და თუ მისგან ხეირიანი რამ გამოვიდოდა არც კი ეგონათ.

გიამ წინადადება მისცა მსურველთ, გაფრენისა.

გამოჩნდა რამდენიმე „გაბედული“, რომელმაც წინასწარ სიტყვა ჩამოართვა გიას, რომ ჰაერში არ იცელქებდა, არამედ მხოლოდ გაფრინდებოდა.

ბერმა პაპამაც მოინდომა გაფრენა, რამაც საერთო სიცილი გამოიწვია. — როცა კაბინის კარს მიადგა, გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა და პირჯვრის გადასაწერად ხელი ასწია, გიამ შეაჩერა.

— აბა, პაპა, ფოლადის არწივი არ დანავსო. მე ბენდე და არა პირჯვარსა და ღმერთს.

ბინდამდე გასტანა კოლმეურნეთა ზეიმმა.

ყველა დარწმუნდა, რომ გია თავისი არწივით დღეს ჯარის მიერ მივლენილია კოლმეურნეთა მინდვრებში მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლად და როდესაც დრო დადგება, თავის არწივს საზღვრებისაკენ გააქანებს და მტერს რისხვად მოევლინება.

Ი. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

1

დოროთე ჯიბუტმა გაოფლიანებული ცხენი ჭიშკართან ძლივს შეაჩერა. წვრილი თასმისგან დაგრეხილი მათრახი სწრაფად აღმართა და ის-იყო უნდა დაეკრა, რომ წაბლისფერმა ცხენმა ამაყად გაშალა ოქროსფერი ფაფარი და მაღალ ალაგეზე საოცარი სისწრაფით გადაევლო.

მხედარი დაიბნა. მაღლა აღმართული მათრახი ხელში შერჩა. ქუდი გადმოუვარდა და მესერზე ჩამოეკიდა, მაგრამ ამას ყურადღება არ ნიაქცია. ჯიბუტი ახლა უარესი შემთხვევისათვის ემზადებოდა.

— ჰე, ტიალო... შენი ბედის ვყოფილვარ... შესდექი!— დასჭყივლა ცხენს... ცხენი ოდნავ შეტოკდა და შესდგა. ჯიბუტმა ირგვლივ მიმოიხედა, მათრახი დაუშვა, ქუდი დაიხურა და კოლმეურნეობის კანტორის წინ თავშეყრილ ხალხს შორიდან სალამი მისცა. კოლმეურნეები თავმჯდომარისაკენ წამოვიდნენ. ჯიბუტი სიცილით მიეგება მათ და გაოფლიანებული ცხენი ახალგაზრდა ბიჭს გადასცა.

— მოდი, ბიძია... ატარე... დაღალულია. დახუთავს...

ახალგაზრდა ბიჭმა სწრაფად ჩამოართვა ცხენი. ჯიბუტი კოლმეურნეებთან მივიდა, შუბლიდან ჩამონადენი ოფლი აბრეშუმის ცხვირსახოცით მოიწმინდა და კოლმეურნეებს მიმართა:

— აი, ამხანაგებო თქვენი დავალება შევასრულე ცხენი მოვიყვანე, მარა გავთავდი კაცი... ჩემს ცხოვრებაში ამისთანა არაფერი არ გამომიცდია... თქვენც დააკვირდით.. ხომ ხედავთ რა კაი ცხენია... ახლა იგიც გაიგეთ, რა მითხრა იმ ხალხმა. ისეთი ამბავი გამიმართეს ჩვენმა წითელარმიელებმა, რომე ნულარ მკითხავთ... ჩამაბარეს ცხენი... თვითონ ლეგიონის უფროსმა გამოიყვანა თავლიდან და გადმომცა. ჩვენთან ერთად აღზრდილიაო, ოთხი წელია გვემსახურებოდაო... გამძლე ცხენია, ცოტა თვალი დაუზიანდა, ჩვენთან არ გამოდგება, მაგრამ კოლმეურნეობაში სირცხვილს არ გვაჭმევსო. მთიხმარეთ, ამუშავეთ, იმისთვის გაძლევთ, რომ კარგად გამოიყენოთო... ცხენი გავსინჯე. ძალიან მომეწონა. მარცხენა თვალი აქვს ცოტა დაზიანებული, მარა აგი რა სათქმელია. გაგვაკეთა ჩვენმა შეფმა. ჩვენთან ყველაფერში გამოდგება, მარა მომვლელი უნდა კაი...

ჯიბუტი დაღლილობის გამო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, ოფლს იწმენდდა და ცხენს თვალს არ აშორებდა. კოლმეურნეები ყურადღებით ისმენდნენ თავმჯდომარის ნაუბარს.

ზამთრის დღე იყო, უქარო და მშვიდი. ოქროსფერი ღრუბლები მზის გარშემო გაზაფხულის ყვავილებივით იფურჩქნებოდა. სხივნაკლული მზე ნელთბილი სხივებით ათბობდა დედამიწას. ბუნებას გაზაფხულის სიცოცხლე ემჩნეოდა, მხოლოდ გატიტვლებული ჭადრები იდგნენ მდუმარედ. მშვენიერი ამინდით წახალისებული არტემა ლაშხი, „ცხენოსნობის მცოდნე" და მოჯირითედ ცნობილი მთელს სოფელში, მაგრად იგრეხდა გრძელსა და ჯაგარივით აშლილ ულვაშებს და გულზე ხელის ცემით ნატრობდა იმ წუთს, როცა დროოთე ჯიბუტი დაამთავრებდა ლაპარაკს და ამ მწვანე მინდორზე გრიგალივით გააქანებდა საშეფო ცხენს, მაგრამ ჯიბუტი ისევ განაგრძობდა საუბარს.

— წამოვიყვანე, მარა თქვენს მტერს დაემაროა იგი, რაც მე მომივიდა.. ვერაფერი ვერ გავაგებიე—აჩუუ—ვეუბნები. ჩერდება. მათრახი დავკარი, დაიკლაკნა. თავზე ხელი გადავუსვი, კისერი მხარზე გადმომადვა და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ გადავირიე კაცი... ვიფიქრე, მოჭკვიანდა-მეთქი.. შევჯექი. ფეხი გვერდზე გავკარი. თურმე ეს ყოფილა ნიშანი, გაჭენდა, მარა რაფერ, ისე გამაქროლა, რომ ვიფიქრე: აი, ახლა გავთავდი კაცი-მეთქი... შავარდენივით მოფრინავდა, ვენაცვალე მაგის მუხლებს.. ვერ ხედავთ, ამხელა ცხენს რავა შველივით ფეხები აქვს... იმას ვამბობდი, მალე მოვადექი ბახვისწყალს... კაცო, ჩვენებური ჩია ცხენები ბახვისწყალში კი არა, დურღანაში ვერ გამოდიან, თუ ფონი ვერ მოუნახე. მოვადექი მდინარეს და გავჩერდი, ფონს დავუწყე ძებნა, მარა თქვენც არ მომიკვდეთ: მოვემზადე თუ არა, ერთი დაიჭიხვინა, ფაფარი გაშალა, თვალები დააბრიალა და აი მდინარეში არ ისკუპა! წავხდი კაცი. თავი ველარ შევიკავე და მოჭრილ ხესავით გავადინე მიწაზე ზღართანი. გადმოვვარდი, გადმოვვარდი, მარა ფეხი უხანგში არ გამირჩა! გამაცივა შიშით... ვიფიქრე, ახლაა ჩემი ტვინი ბახვისწყლის რიყეს რომ შეუერთდება მეთქი, მარა არ შეგჭამოთ ჭირმა. მე ძირს ვაგდივარ. ცხენი არსად მიდის... დამდგომია თავზე, დაულუნავს თავი. ფეხებს რიყეს ურტყამს,... ჭიხვინობს, თითქოს ჩემი დახმარება უნდაო.. გადვირიე კაცი.. წამოვდექი და, ცოლშვილს გეფიცებით, შიგ შუბლში ვაკოცე...

კოლმეურნეები უცხო ფრინველსავით ათვალიერებდნენ საშეფო ცხენს. ჯიბუტის ნაამბობმა ყველანი დაინტერესა ბევრს აღეძრა ჯირითობის სურვილი, მით უფრო ახალგაზრდებს, რომელთაც გულის სატრფოები იქვე ყავდათ, მაგრამ ვერავინ ბედავდა...

წაბლისფერი ბედაური ფრთხილად დაყავდა ახალგაზრდა ბიჭს. შორიდან ეწეოდა ლაგამს. ცხენს დაღლილობის გამო ძარღვები ნელა უთრთოდა მაგრამ მხნედ და ამაყად გამოიყურებოდა. ზოგჯერ ოქროსფერ ფაფარს შეარხევდა და ნელა ჩაიფრუტუნებდა...

უცებ ცხენის წინ მოსკვანეთელმა ბრიგადირმა მიხელა რონჩხოსამ ჩაირბინა, ცხენი აბობოქრდა, ვეფხივით აიწურა და ისეთი ხმით დაიჭიხვინა, რომ შეშინებული მურა-ძაღლი ოდის ქვეშ შევარდა, დაფეთებულმა ბიჭმა კი სწრაფად გაუშვა ლაგამს ხელი...

— ფეთიანია!..—ერთხმად დაასკვნა ყველამ... ვიღაცას ჩაეცინა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია...

ცხენოსნობის მცოდნე არტემა ლაშხი ქურდივით უვლიდა ბედაურს გარშემო...

— კავში თუ გამოდგება, ნეტა?..—გულუბრყვილოდ იკითხა გამგეობის წევრმა პართენა ახალაძემ და ჯიბუტს გადახედა.

— კავში?.. ყველაფერში კი გამოდგება, ჩემო პართენ, მარა მომვლელია საქმე... მო-მვლე-ლი... ყოველ ცხოველს თავის შესაფერი მოვლა უნდა... მაი ცხენი წითელარმიაშია გაზრდილი, თავისი წესრიგი იცის... ცუდი მხედნელის ხელში ცოდვაა, წახდება...

— ტყუილა გეშინიათ, ბიძიებო—მოუთმენლად ჩაერია საუბარში ლაშხი—მე თუ ამ ცხენს ჩემს ჭკუაზე არ ვაცეკვებ, ამ ულვაშებს გავიპარსავ...—„ცხენოსნობის მცოდნემ“ გრძელი ულვაშები ერთხელ კიდევ გადაიგრიხა და ცხენს ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

— „გურიელის ბუში“ აპირებს შეჯდომას!—დაიძახა ვიღაცამ. ყველა იმ მხრივ მიტრიალდა. კოლექტივის კანტორაში დარჩენილებიც გამოვიდნენ.

ლაშხი კატის ნაბიჯით მიუახლოვდა ცხენს, თითქო სურს არ დააფრთხოსო, მაგრამ ცხენმა დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი ადამიანი, რომელსაც ძალიან სრული შარვალი ეცვა და გრძელბეწვიანი ქუდი ეხურა, იუცხოვა, ატოკდა, თავი წინ გადმოხარა, მიწას ტორები დაჭკრა და ერთხელ კიდევ დაიჭიხვინა—ლაშხი აიმრიხა. ცხენის ასეთი მოქმედება წინააღმდეგობად ჩასთვალა, ლაგამს მაგრად ჩასჭიდა ხელი და ისე მძლავრად გადაჭკრა მათრახი, რომ იქ მყოფთ ჟრუანტელმა დაურბინა ძარღვებში. ცხენი არც კი შერხეულა, მხოლოდ ცხვირი დაუგანიერდა. მსუქან თეძოზე სარტყელივით გადაევლო მათრახის დანაკრავი. ჯიბუტს სიბრაზის გამო სისხლი მოაწვა თვალებში...

— ეი, ხომ არ გადირიე, ბერიკაცო!—შეჰყვირა ლაშხს მოთმინებიდან გამოსულმა რაჟდენა მეგრელაძემ და წინ წავიდა. ლაშხმა თვალი აავლო მაღალ მამაკაცს, ჩუმად ჩაიხითხითა, წვრილი თვალები გველივით დაწკურა და თავისქნევით ჩაილაპარაკა:

— მეითმინე, შენი ჭირიმე. ვერ ხედავ? ვხედნი.—მერე რაღაც შეშინებულ ბავშვივით ჩაილუღლუღა და დაფიქრდა. ამის შემდეგ არტემამ მართლაც აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— თუ გულს გერჩის, შეჯექი და გააჭენე...—აღარ იშლიდა მეგრელაძე და თვალების ტრიალით გაჭყვიროდა—მინდორი დიდია და გეყოფა. ვხედნიო?!! რა დროის მაგის გახედნა არის, კვიცია თუ?

ლაშხი ცხელქვიშაზე გაწოლილ გველივით გაინაბა. დაბნევას არ იმჩნევდა, მაგრამ წინასწარ გრძნობდა, რომ სასირცხო მარცხის წინაშე იდგა.

არტემა ლაშხის მუდმივი საქმე ცხენის ყიდვა-გაყიდვა იყო. კარგ მოჯირითედ და ცხენოსნად ითვლებოდა. ხშირად მაყრად იმისთვის პატიჟობდნენ, რომ კარგი ცხენოსნობა იცისო. კოლექტივში მუშაობას გაურბოდა. დადიოდა უსაქმოდ, ხან მშიერი იყო, ხან მაძღარი. თავი მოჰქონდა: „გურიელის ბუში ვარ, გლეხებს რავა გავუყადრებ თავსო“. მეზობლები ცუდი თვალით უყურებდნენ:

„უქნარა კაცია, ზარმაციო“, და ახლა რომ მარცხი განეცადა, სოფლიდან უნდა გაპარულიყო.

— რაფერ მოვიქცე,—ფიქრობდა იგი ფერდაკარგული და ცხენს ბებერ ორბივით უმზერდა,—შევჯდე, გავაჭენო?! წითელარმიაში გახედნილია. რა ვიცი მაგის წესები მე. რომ გადმოვვარდე?! მაშინ ხომ გავიფუჭდი კაცი, ხომ მომეჭრა თავი?.. ყველა გამცინებს, ლუკმას არავინ წამომიტეხს, მაინც ცუდი თვალით მიყურებენ: „უქნარა კაცი ხარო“, და ამ სამგელემ რომ გადმომაგდოს, მაშინ რაღა ხეირს დამაყრიან?!—არც კი მიუხედავს მეზობლებისაკენ, ისე გადააჯდა უნაგირს. ცხენი შეთრთოლდა. მხედარმა ლაგამს ჩასჭიდა ხელი და ჯიბუტის ნათქვამიც მოიგონა: „გვერდში რომ ფეხი გავკარი, შავარდენივით გაფრინდაო“,—მოიგონა და ფეხიც გაჰკრა. მსუბუქად შეირხა წაბლისფერი ბედაური, ყელი გედივით აღმართა, მინდორი შეათვალიერა და ისე მოხდენილად წაგოგმანდა, თითქოს ბამბით დაფენილ მოედანზე დაჯირითობსო...

— ისე მივყეავარ, თითქოს რწყილი ვაჯდე ზურგზე. ოხერი...—ბოროტად გაიფიქრა ლაშხმა და ამაყად აატრიალა მათრახი. თავს მთვრალივით აქნევდა, თითქოს იკვეხნისო:

— „აი, შემომხედეთ, რა კარგად დავაჯირითებო“.

— ჩქარა! ჩქარა!..

— ჩქარა, ლაშხო! ეგ ჯირითი არაა!—ცხარობდნენ არტემა ლაშხის სიამაყით გულმოსული კოლმეურნეები. მათი თანაგრძნობა საშეფო ცხენისკენ იყო და ასე დამორჩილებულს რომ ხედავდნენ, არ მოსწონდათ. როგორ, საშეფო ცხენი, რომელიც დაუძლეველ ძალად დაუხატა მათ დროოთე ჯიბუტმა, ისე დაძაბუნდა, რომ გასულელებული ბერიკაკის ლაშხის ნებისყოფას დაუმორჩილდა?..

უსიამოვნოდ დრტვინავდნენ ახალგაზრდები.

„ცხენოსნობის მცოდნე“ გამარჯვებას ზეიმობდა, ამიტომ მეტი მოიწადინა, ცხენი მეზობლების მახლობლად გააჩერა და ულვაშების გრეხით დაიტრაბახა:

— ძველი ვარ, ძველი. აბა რავა გეგონათ... „გურიელის ბუში“ ისე რავა წახდებოდა, რომ აი რწყილისხელა ცხენი ვერ დაემორჩილებია... აბა ახლა მიყურეთ... სულ ფეხის ფრჩხილებზე ვათამაშებ...

ლაშხმა ცხენი მინდვრისაკენ მიაზრუნა. კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილება ძლიერდებოდა.

— იმიზა კი არ მოგვიყვანია მაი ცხენი, რომე მაგ ბერძალლმა მოკლას,—ისევ ცხარობდა მეგრელაძე, თვალებს ატრიალებდა და არწივის ნისკარტივით მოკაუჭებულ მაღალ ცხვირს მოუთმენლად ისრესდა. დამკვრელ კოლმეურნეს არ მოსწონდა ლაშხის საქციელი... არტემამ გაიგონა მეგრელაძის სიტყვები, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და მარდად აღმართა მათრახი. სოფლად ასე იციან: თუ ცხენის უკანაფეხებზე დაყენება სურთ, მათრახს წინა ფეხებზე შემოჰკრავენ. ცხენი თუ კარგია, გახელდება... ფაფარს აიშლის, უკანაფეხებზე დადგება. მხედარს თავი მოსწონს. ლაშხი ბოლოსათვის ინახავდა ამ ხერხს და გამოიყენა კიდეც, მაგრამ შემოჰკრა თუ არა ცხენს მათრახი, ბედაური ისე მოიქცა, როგორც არმიაში ასწავლიდნენ: მუხლებდაჭრილივით ჩაწვა ადგილზე, ხოლო მოხუცი მხედარი შეტორტმანდა და გადახერხილ ხის ნამორივით დაგორდა მინდორზე.

— უიი!..—დაიკივლა ვიღაცამ. ყველა იმ მხრივ გაექანა. ცხენი სწრაფად ადგა და დაფეთებული თვალებით დააცქერდა მიწაზე დაგორებულ მხედარს.— „გურიელის ბუშიც“ უსიამოვნო ბუტბუტით წამოდგა.

— ოი, დასწყევლოს ღმერთმა!.. სამოცი წლის კაცი ვარ და ამფერი კვიშატი საქმე ჯერ არ დამმართია... ცოლშვილს გეფიცებით, კაპეიკი არ ღირს მაი თქვენი ცხენი... სამგელე... მუდრეგი... ოხერი... კაი რომ ყოფილიყო, აბა თქვენ მოგცემდნენ?!!

ყველას გაეცინა...

დროოთე ჯიბუტი ცხენს მიუახლოვდა:—მე იგი მაწუხებს, რომ არ ვიცი ვის ავაბარო, თვარა შენ ღირსი იყავ რაც მოგივიდოდა...

არტემა ლაშხმა გრძელბეწვიანი ქუდი ისე სწრაფად მოიგლიჯა, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო და დაიყვირა:

— თქვენ მასწავლით მე ცხენოსნობასა და ცხენის ცნობას... თქვენ მასწავლით?! ამას მე ვამბობ, მე... არტემა ლაშხი: სოლომგორომოდ იქცეს ჩემი ოჯახი, თუ მაგ ცხენის მომვლელი კაცი ამ რაიონში გამოჩდება.

— ნუ სწუხარ, არტემა... არის მასეთი კაცი, მე ვარ აგერ.—ლაშხს თითქოს ქვა მოხვდა თავში. მიტრიალდა... ხმა ჩაუწყდა. ყველა გაკვირვებით მიაჩერდა ცალხელა ვაჟკაცს, რომელიც ცხენთან მისულიყო და გაოფლიანებულ ბედაურს გამოცდილი თვალებით შინჯავდა.

2

შანშია ლომინაძე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა სოფელში. გულზე წითელი ბანტი ებნია, ხოლო მარცხენა ხელის ნაცვლად ხალათის სახელო ეკიდა. დაზიანებას არ იმჩნევდა და ნაცნობ-ნათესავებს გამარჯვებას ულოცავდა.

როცა მსოფლიო ომის სუსხიანი ქარი ქროდა, ახალგაზრდა ლომინაძე არალეგალური მუშაობისათვის დააპატიმრეს, გაასამართლეს და შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს. ეს იყო ის დრო, როცა ყველაფერს ანადგურებდა მსოფლიო ომის ცეცხლი. შანშიას მშობლებმა არაფერი იცოდნენ შვილის შესახებ. დაიკარგა ვაჟკაცი. გამოიგლოვეს და მდგომარეობას შეურიგდნენ.

შანშიას თებერვლის რევოლუციამ ციმბირში მოუსწრო. თებერვლის რევოლუციას ოქტომბრის რევოლუცია მოჰყვა, კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში გაეხვია მთელი რუსეთი, უკრაინა, კავკასია. ციხიდან განთავისუფლებული ლომინაძე გატაცებით ჩაება ციმბირის პარტიზანების ბრძოლაში თეთრგვარდიელ გენერლების წინააღმდეგ. მას შემდეგ სად არ გადაისროლა აბობოქრებულმა ნიაღვარმა—უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასი , ყირიმი.

შანშია ლომინაძე წითელ ჯარს შემოჰყვა საქართველოში. სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო, როცა შანშია მოულოდნელად ესტუმრა სოფელს. მშობლებს იგი მკვდარი ეგონათ და ცოცხალი რომ დაინახეს, აღარ იცოდნენ რა ექნათ... უსაზღვრო იყო მათი სიხარული, მაგრამ, როცა გაიგეს რომ შანშია ცალხელი იყო, ისევ მწუხარება გამეფდა მათ ოჯახში...

— ეჰ, შვილო, რა ცოცხალი და რა მკვდარი... ცალხელა კაცი რაღაა. — ამოიოხრა შანშიას მამამ ერმალოზმა.

დედა ხმამაღლა მოსთქვამდა...

შანშიამ დიდხანს უგდო ყური მშობლების გოდებას, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მამას საყვედურით მიმართა:

— რა ამბავია, მამა ჩემო... ნენას არ გაემტყუნება, მარა შენ რაღა დაგემართა?! თუ ჩემი მოსვლა გეწყინა, რაკაც მოვედი ისე წავალ... რას ჩააცივდით ამ ცალხელს. დავკარგე, რა ვქნა ახლა... სამაგიეროდ ქვეყანა გათავისუფლდა. კარგად დაიმახსოვრე ჩემი ნათქვამი: სულ მალე ცხოვრება ისე იქნება აწყობილი, რომ ჩემფერი ცალხელა კაციც თავისი შრომით შეინახავს თავს. . . ამას ჩვენ შევქმნით — ბოლშევიკები...

— ო, ალბათ იქნება, მარა შენ რაღაი, შვილო... — ყრუდ ჩაილაპარაკა ერმალოზმა და შანშიას სახე აარიდა.

3

არტემა ლაშხი მოულოდნელად დამარცხდა იმ დღეს. ცუდი ამბავი შეემთხვა. კაცს ცხენოსნობის ცოდნით მოჰქონდა თავი და ახლა ისეც დაჰკარგა. დაჭრილი ნადირივით აკრაჭუნებდა კბილებს. ყველაზე უფრო ცალხელას მეტოქეობა აბრაზებდა. როგორ, არტემა ლაშხი შანშიამ დაამარცხოს ცხენოსნობაში?! ოი, სირცხვილო!

ლომინაძე არ იშლიდა თავისას და ჯიბუტის დარიგებები უშედეგოდ იკარგებოდა.

— კაცო, შანშია, დაანებე მაგ ცხენს თავი.. ხომ ხედავ, რაფერი ყიამეთია.. დაგლუპავს.. მაგის მომვლელი ფოლადის მკვნეტელი უნდა იყოს.. — კოლექტივის თავმჯდომარე გაკვირვებით ათვარიელებდა ლომინაძეს, რომელიც მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე.

— დარდი ნუ გაქ.. — ამბობდა შანშია. — მხოლოდ უარს ნუ მეტყვით.. ალარ მინდა, ძმაო, ინვალიდობა, არა... ყოფილი წითელარმიელი ვარ, შრომა მიყვარს... დღემდი თუ არ გქონდათ ცალხელა კაცის შესაფერი საქმე, დღეს ხომ გაქვთ. ნუ მერიდები, ვიღაც ხომ უნდა აიყვანო ამ ცხენის მომვლელად?! ჰო და მე ვიქნები... ვერ შევსძლებ?! მომკლავს? ნუ გაფიქრებთ. განა თქვენ ჩემზე უფრო გიყვართ ჩემი თავი?. ცხენოსან ასეულში ვმსახურობდი და როცა დავიჭერი, მერე ორთვალაც მებარა... ცხენის მოვლა კარგად ვიცი... ცალხელა რომ ვარ, იგი გაფიქრებთ?. არ მოგიკვდეს შანშიას თავი.. ისეთი ცხენები გამიხედნია არმიაში, რომე ვარსკვლავს ეთამაშებოდა, ცეცხლს ჰყრიდა პირიდან, თვარა აგი რა არის: ცხენი ჯარში გაზრდილი, ბავშვივით უწყინარი, ძაღლივით ერთგული.. ოი ვასკა!.. — ლომინაძემ მარჯვენა ხელი ნელა დაჰკრა ცხენს გავაზე. წაბლისფერი ბედაური მშვიდი რხევით შეშფოთდა... კოლმეურნეები გაკვირვებით ათვალიერებდნენ ცხენსაც და ცალხელა მეზობელს. ლომინაძის სიტყვებით გულმოსული არტემა ლაშხი სიბრაზის გამო ულვაშებს იგლეჯდა. ნუთუ ამ სოფელში მართლა აღმოჩნდა ისეთი ვინმე, რომელიც „გურიელის ბუშს“ ცხენოსნო-

ბის საქმეში მეტოქეობას უბედავს?! არა, ამას ვერ ძოითმენს არტემა... იგი უეცრად ლომინაძისაკენ მიტრიალდა. გრძელბეწვიანი ქუდი მოიხადა და დაიყვირა:

— ხომ ჩივი, ბიძია, ძაან ცხენოსნობა ვიცით.. აი მინდორი და აი ცხენი.. შეჯექი და გააჭენე... ნახავ, რავა ხაპივით დაგაგორებს... — არტემას უსიამოვნო ხმით გაეცინა, მეზობლებს მიუბრუნდა და ღიმილი გადახედა, თითქოს ეკითხება „ხომ კარგად ვთქვიო", მაგრამ სხვებს რომ არ გაეცინა, წვერი უსიამოვნოდ შეიჯიჯგნა და გაჩუმდა.

— მე კიდევ გირჩევდი... — სცადა დოროთემ...

— აბა, შემომხედე, ლაშხო!.. — დასჭყივლა ლომინაძემ და პირისახეს ცეცხლის ალი შეეფინა...

ცალხელა მეზობელი, რომელიც დღემდე უსაქმოდ დადიოდა, სიბრალულის გრძნობას იწვედვა მხოლოდ.

— ჰე, რა ვაჟკაცი წახდა.. — შენიშნავდნენ მეზობლები, ხოლო შანშიას თავისი თავი დაღუპულად არასოდეს არ წარმოედგინა. სულ საქმის ძებნაში იყო.. მთელი ძალღონით ცდილობდა ინვალიდის სახელი მოეშორებია და კოლმეურნეობის წევრს შრომადღეები ისე გამოემუშავებია, როგორც სხვები იმუშავებდნენ.. ხშირად ჩაის კრეფაზე გადიოდა, მაგრამ ცალხელით სხვებს რომ ვერ აყვა, ეწყინა: — „არა, მუტი შემიძლია გავაკეთო, კიდევ მეტი", — ფიქრობდა იგი.

ერთხელ გამწევი ძალის მოვლა დაიჩემა, მაგრამ ვერ შესძლო და თავი გააანება. შანშიას გულში მწარე ტკივილი აღძრა ამ შემთხვევამ. „ნუთუ მართლა არ ვარგივარ.. ნუთუ მართლა ზედმეტი გავხდი?" — დანაღვლიანდა კაცი. მეზობლებში კი კიდევ უფრო გაძლიერდა შანშიასადმი სიბრალული, ხოლო დღეს, როცა „საბრალო კაცი" მათ წინ იდგა და ისეთი ცხენის მოვლას კისრულობდა, რომელმაც ლაშხი ყირამალა დააგორა, აკვირვებდა და აშინებდა ყველას. ლომინაძე თითქოს ახლა გაიზარდა, ამაღლდა, რატომღაც დღეს შენიშნეს მისი ფართე მკერდი და განიერი ბეჭები...

შანშია ცხენთან იდგა და დაკვირვებით უშინჯავდა მოსართავებს, თვალები განსაკურთებული სიცხოველით უბრწყინავდა. თითქოს ცხენიც გრძნობდა გამოცდილი ხელის შეხებას. როცა ყველაფერი შეამოწმა, ცალხელა ვაჟკაცი მარადად შეაჯდა ცხენს. ბედაური შეტოკდა, თავი დაიქნია და ფეხები აათამაშა. კოლმეურნეები ჭადრის ქვეშ შეჯგუფდნენ.

— ვერ გაუძლებს, გადმოვარდება! — ახალგაზრდები მისაშველებლად ემზადებოდნენ. ლაშხი ცოფიან მგელივით დაეხეტებოდა, ცუდ სიტყვებს ამბობდა, ხოლო ჯიბუტი გაოცებული შეჰყურებდა ცალხელა მხედარს, რომელმაც თავისი გაიტანა და გახელებულ ცხენთან მისვლა გაბედა.

ლომინაძე ერთხელ კიდევ დააცქერდა ლაშხს. ჩაიცინა. ნელა გადაიქნია მათრახი. ლაგამს ხელი გაუშვა. გათავისუფლებულმა ცხენმა მოცეკვავე ქალივით გაითამაშა რბილი მოლით დაფარულ მინდორზე, რომელიც კოლმეურნეობა დუყის კანტორის წინ იწყებოდა და მდინარე ბახვისწყლის კლდოვან ნაპირამდე აღწევდა. მხედარმა ერთხელ კიდევ შეატრიალა მათრახი და ათამაშებულ ცხენს ნელა გაჰკრა მკერდზე ქუსლი. ცხენი ოდნავ შეჩერდა და ჩორთით გასწია წინ, თავი აღმართა, ფაფარი გაშალა, ნაბიჯებს უმატა და მეორეხელ რომ იგრძნო მკერ-

დთან შეხება, ვეფხვივით აიწურა, ცხვირის ნესტოები დაიგანიერა და ჩორთით ტარება ჩქარი ნავარდით შესცვალა. მინდორს ნაფლეთები ასძრა. გახელდა ცხენი.

— ოი, ოი, ახლა ეშმაკი ველარ დააკავებს მაგას! — დაიყვირა ვილაცამ შიშნარევი ხმით. მაყურებლებმა სამწუხარო შედეგის მოლოდინში სულთქმა შეაყენეს. მაგრამ მხედარის მარჯვენა ხელმა სწრაფად შეაჩერა ცხენი, დასავლეთით მიატრიალა და სივრცეში მძლავრად დაირხა მაგარი ხმა.

— ფრრრ...—ნით. — ცხენი ბურთივით დამრგვალდა და გაფრინდა. ფეხების თქარათქური და შანშიას შეძახილი ერთმანეთში ირეოდა.

— ვაი... ვაი... ვაი! — მორთეს კივილი ქალებმა.

— ხომ გითხარით. — ნიშნის მოგებით დაიწყო ლაშხმა, — ჩავიდევით მაგ საწყალის ცოდვა და აია. მაგი დააკავებს ახლა ამ გადარეულ ცხენს?!

— მოიცა, ნუ ღრიალებ, ლაშხო.. — შეუტია მეგრელაძემ არტემას და წინ წავიდა. ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. ცალხელა მხედარმა ცხენი, რომელიც დასავლეთით მიდიოდა, მარცხნივ მოატრიალა და შუა მინდორზე მიუშვა. ცხენი ისე წავიდა, რომ მაყურებლები ფეხების მოძრაობას ვერც კი ამჩნევდნენ. უეცრად მხედარი მოკვეთილივით გადმოწვა უნაგირიდან, ხელი მოსართავს ჩაავლო და ცხენს მკერდზე აეკრა. ბედაური ისევ მიქროდა შეუჩერებლივ...

— უი... უი... უი!.. — კვლავ მორთეს კივილი ქალებმა. — დაიღუპა გამბედავი ცალხელა ვაჟკაცი! — მაგრამ არა. ისევ აღიმართა უნაგირზე...

— დალახვროს ეშმაკმა. ქაჯი ყოფილა წყეული. — შეშფოთდა „გურიელის ბუში". ლომინაძე აღარ ათავებდა ჯირითს. უკანასკნელად გახელებული ცხენი კოლმეურნეებისაკენ გამოაქანა, ქალები წივილ-კივილით მოწყდნენ ადგილს. ბავშები შენობის ქვეშ შეძვრენ.

— გაგვიტანს აი ოჯახდაქცეული!. — დაიყვირა ვილაცამ და კანტორისკენ იბრუნა პირი. უეცრად მხედარი და ცხენი კოლმეურნეების თვალწინ მოკვეთილივით გაინართხნენ მიწაზე. ყველა გააშეშა ამ შემთხვევამ, ენა დაუდუმდათ. ცხენი წაიქცა, მაგრამ მხედარი? ლომინაძე ფეხზე იდგა და იცინოდა.

— კაცო, რა მოგივიდა? — მივარდნენ შანშიას.

— არაფერი... ცოცხალი ვარ. — ნელა მიუგო მან მეზობლებს და ცხენს მიუბრუნდა. — ადექი! — დაუყვირა. ბედაური სწრაფად ადგა. გაირეკა, თავი აიქნია, ოქროსფერი ფაფარი შეარხია და ხალისიანად დაიჭიხვინა...

— გენაცვალე მაგ ცეცხლისფერ თვალებში: — დაუყვავა შანშიამ ცხენს. ყურები დაუსრისა და ახალგაზრდა ბიჭს სთხოვა — მოდი, ნოდარ, გაატარე ცხენი. გაოფლიანებულია, დახუთავს. — ახალგაზრდამ ფრთხილად შეასრულა დავალება. ლომინაძე მეზობლებს მიუბრუნდა.

— როგორ ფიქრობთ, ამხანაგებო, გამოვდგები საშეფო ცხენის მომვლელად?! — კოლმეურნეებმა ერთმანეთს გადახედეს სიცილით, ხოლო ლაშხი აჩრდილივით გაქრა.

4

როცა გაზაფხული დადგა და ზამთრის ცივი მოზუზუნე ქარი სალანქრებო ჭალიკონმა შესცვალა, დუყის კოლმეურნეებმა დაუგვიანებლივ დაიწყეს ნიადაგის მოხვნა. ზამთარი ცუდი იყო, მაგრამ გაზაფხულმა მშვენიერი დარები დაიჭირა, მინდვრებიდან ქარს ყვავილების სურნელება მოჰქონდა.

ერთ დილას, როცა მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, დუყის კოლმეურნეები მინდვრებში გავიდნენ პირველი მოხვნის ჩასატარებლად. წინა ღამით საწარმოო თათბირი ჰქონდათ და ამ დილას კოლმეურნეების გამოსაყვანად რეკდნენ ზარს. კოოპერატივი ადრე გააღეს. მეფურნე ალექსანდრე ჯანგარა მეორეჯერ აცხობდა პურს და საამური სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

სოფელი არაჩვეულებრივად ხმაურობდა და იღვიძებდა ისეთი სიცოცხლით, რომელიც მხოლოდ გაზაფხულზე იცის; ყიჟინი, გადაძახებ-გადმოძახება, ზარის რეკვა და ჩაის ფაბრიკის საყვირის ზუზუნი ქმნიდა გამაცოცხლებელსა და წამახალისებელ ხმაურს.

დოროთე ჯიბუტი ქუდმოხდილი და საყელოგახსნილი დადიოდა კოოპერატივის წინ. მოუსვენრად იძლეოდა განკარგულებას. ყველაფერი მწყობრად მიმდინარეობდა, მაგრამ ჯიბუტი მაინც ღელავდა. დღევანდელი დღე გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო. რაიონიდან შემმოწმებელ კომისიას ელოდნენ. ამ დილით ჯიბუტს ყველაზე უფრო მეხარეთა ბრიგადის გამოსვლა აფიქრებდა აფიქრებდა ისიც, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობა ცალხელა კაცს შანშია ლომინაძეს ჰქონდა მინდობილი.

— ვინ იცის, ეგებ კიდევაც შევცდით,—ფიქრობდა დოროთე.—ასეთი დიდი საქმე ცალხელა კაცს რომ მივანდევით. ვერაა კაი. მონდომებული კაცი კი არის, ერთგული, ძველი პარტიზანელი, მარჯვე და გამბედავი, მარა ბრიგადირობა დიდი მოვალეობაა. ვაი თუ ვერ შესძლო, მაშინ... აი მზეც ამოვიდა. სად არიან ამდენხანს? საქმეა ახლა, აი!

მზე ამოვიდა და სოფელში შემოპარული ნისლი ვარდისფერად შეღება. დოროთე ერთხელ კიდევ გადაადგა გორაკს, იქ, სადაც დიდწიფელას აბრეშუმის ხმით აშრიალებდა ქვენა ქარი.

— შანშია ლომინაძე, უუუ!..—მაგარი ხმით გადასძახა ჯიბუტმა ბახვისწყლის ჭალას...

— ვის უძახი, დოროთე, ასე ხმამაღლა?!—შეეკითხა თავმჯდომარეს რაჟდენა მეგრელაძე, რომელიც ზევიდან მოდიოდა.

— შანშიას ვუძახი, კაცო. მზე ამოვიდა და ხარები არსად ჩანან. როცა ასიცხდება, რაღა დროის მიწის ხვნა არის?!

— რას ჩივი, ჩემო დოროთე. ლომინაძე რამდენი ხანია წავიდა. მეხარეებიც შუაღამე იყო, რომ მიდიოდნენ. ახლა იმათ კარგა ბევრი ექნებათ მოხნული...

— მართლა?!—გაიკვირვა დოროთემ, სწრაფად დაიხურა ქუდი და კოოპერატივისაკენ გასწია. კოოპერატივის წინ აგრონომი შეხვდა, რომელსაც ხალათის საყელო გაეხსნა და ქუდი მოეხადა. ემჩნეოდა, რომ შორი გზიდან მოდიოდა. მოწყენილი იყო.

— კაცო, რა მიქენით აგი!—დაიწყო აგრონომმა, ჯიბუტი რომ დაინახა.—ჩაის პლანტაციებში დღეს აღარ გაგყავთ ხარები?

— რავა არ გაგვყავს? ალბათ გაყვანილიც იქნება.

აგრონომმა ჭრელი და მუშტისოდენა თვალები თავმჯდომარეს მიანათა და ხელი ჩაიქნია.

— არა, როგორც გინდათ, ისე ქენით, მხოლოდ საქმე რომ წახდება, პასუხიც თქვენ აგეთ... რავა შეიძლება ჩაის საქმის ასე განზე მიგდება?!

— რა გინდა, ამხანაგო, აგრონომო. ხარები მოგეცით... სხვა რა ვქნათ?! დანარჩენი შენ უნდა გააკეთო.

— სად არის ხარები?! მთელი პლანტაცია მოვიარე, მარამ ხარები არ მინახავს...

ჯიბუტი ხის გადანაჭერზე ჩამოჯდა. ქუდი მოიხადა. დაფიქრდა. უეცრად სასოფლო შარაზე სწრაფად გამოაჯირითა ვიღაცამ ცხენი და კოოპერატივისაკენ გამოაქანა. ცხენი ნავარდით მოდიოდა. ნაწვიმარ გზას ნაფლეთებად სცილდებოდა ტალახი და ირგვლივ იფანტებოდა.

მხედარმა ცხენი კოოპერატივის წინ გააჩერა.

— შანშია, სად ხარ, კაცო ამდენხანს? — მიაძახა ჯიბუტმა ლომინაძეს, როცა იცნო და მისკენ წავიდა.

— სად უნდა ვიყო, ამხანაგო დოროთე. ხარები გავიყვანე სამუშაოდ. ყველაფერი რიგზეა. ამინდი კარგი არის.

— გაკლია ვინმე?

— არა... არცერთი კაცი არ გვაკლია. ყველა გამოვიყვანე. მშვენიერი სახნავია. ნაწვიმარი... რბილი.

ჯიბუტმა ცხენს გადახედა. გასუქებული და სუფთად მოვლილი ცხენი მხიარულად ათამაშებდა ფეხებს.

— აი ჩვენი საშეფო ცხენი ძაან მოვლილი კი გყავს, შანშია, მარა ახლა ვერაფერში ვერ გამოვიყენებთ, მგონი...

— ამას?! — ლომინაძემ ლაგამი მოუწია ცხენს. ბედაური შეტოკდა. — ნახავ, დოროთე, ამ ცხენმა რა საქმე გააკეთოს. გუთანი მე თვითონ ავაწყვე. ისე მსუბუქია, რომ მისით მიდის. მე იმისათვის ამოვედი, რომ გავიგო, დღეს ელით თუ არა ვინმეს რაიონიდან?

— რა თქმა უნდა, ამოდიან. კარგი, ძალიან კაი. მეც ახლავე წამოვალ. ძაან ადრე გასულხარ სამუშაოდ.

აგრონომმა ირიბად გადახედა ლომინაძეს.

— კაცო, შანშია, რა მიქენი აი? მეხარეთა ბრიგადირი ხარ. დავალება მოგცეს და ხელცარიელი დამტოვე?!

— რაზე ამბობ?

— რავა თუ რაზე ვამბობ!.. რათ არ გაგზავნე დღეს გამწევი ძალა ჩაის პლანტაციებში?

— ვინ გითხრა, რომ არ გავგზავნე?!

აგრონომმა მხრები აიჩეჩა.

— რავა თუ ვინ მითხრა. თვითონ მე დავიარე პლანტაციები. ერთ უღელხარსაც კი არ შევხვედრივარ.

— რატომ? აი, მაგალითად, მე დღეს, რომ შეთენდა მას მერე ვმუშაობ.

— შენ?! რით?!

— ცხენით.

— მერე მარტო ამ ცხენით ფიქრობ ჩაის პლანტაციების გაფხვიერებას?!

— დიახ.

— ხომ არ გადირიე, შანშია! ხუმრობ?!

ლომინაძეს გაეცინა.

— არა, არ ვხუმრობ. ხარები ჩვენ სხვა საქმეზე გვჭირდება.

— აბა, მარტო მაგ ცხენით გაუფხვიერებ ნიადაგს 32 ჰექტარ ჩაის პლანტაციას?

— დიაღ., აი, მაგალითად, დღეს რომ ამინდია, თუ ასეთი დარჩა კიდევ ერთ კვირას, ბევრი არაფერი ღარჩება...

— ყოვლად შეუძლებელია, შანშია..

— პირობას ვიძლევი.. ყოველშემთხვევაში დღევანდელი ნამუშევარი ნახეთ..

— ცხაკათის მოხვნა დღეს უნდა დავამთავროთ,—შენიშნა ჯიბუტმა.

— უეჭველად.. — დაბეჯითებით მიუგო ლომინაძემ და ცხენი მიაბრუნა.. — მალე ჩამოხვალთ?..

— ერთ საათში იქ ვიქნები... — მიუგო თავმჯდომარემ.

ლომინაძემ ცხენი დააოთხა სასოფლო შარაზე. დოროთემ ხალათის საყელო შეიბნია და მხიარულად ჩაილაპარაკა:

— ყველაფერი რიგზე აუწყვია.. ცალხელა კი არა, ნამდვილი ვაჟკაცია მაი დალოცვილი... წავიდეთ, ამხანაგო აგრონომო..

ჩქარი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. მშვენიერი დილა იყო. მზე დინჯად მისცურავდა კვამლისფერ ღრუბლებში და დასავლეთის ქარი ნელა არხევდა გზის პირად გამწკრივებულ ალვის ხეთა წვეროებს. ჰყვაოდა მთელი ბუნება. ხე, ბუჩქი, მთელი სოფელი, მინდვრები და ტყე ცოცხლდებოდა... იბრძოდა, ხმაურობდა.

თავმჯდომარე და აგრონომი ჩუმად მიდიოდნენ. ორივეს ერთნაირი ფიქრი ჰქონდა: როგორმე დროზე დაემთავრებიათ საგაზაფხულო მუშაობა და რაიონის მიერ აღებულ ტემპებს არ ჩამორჩენოდნენ. გზადაგზა ისინი დაკვირვებით ათვალიერებდნენ ჩაის პლანტაციებს, ღობეებსა და საყანე მიწებს. ჯიბუტს ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა შუბლიდან. გაიარეს სოფელი და სურნალეთის ტყეში შევიდნენ. ახალ გაფოთლილ წიფელების, მუხებისა და რცხილების ტყეს მდორედ მიმივალ მდინარის ტალღებივით აშრიალებდა ქარი. ჩუმი ხმით ზუოდნენ იელისა და შქერის ყვავილებზე ფუტკრები, გალობდნენ ჩიტები და გაზაფხულის სითბო აცოცხლებდა ახალგაღვიძებულ ბუნებას.

სწრაფად გაიარეს ტყე და გორაკზე ავიდნენ. აგრონომი შეჩერდა.

— პირველად სად მივდივართ? — ჰკითხა მან ჯიბუტს.

ცხავათში.. გამწევი ძალის მუშაობა უნდა შევამოწმოთ. — ოფლი მოიწმინდა და დაუმატა — დღეს თუ ცხავათი დავხანით, წალმა წავა ჩვენი საქმე.

მზე საკმაოდ აცხუნებდა. ქარს საყანე მინდვრებიდან და ტყიდან ყვავილების სუნი მოჰქონდა. უეცრად გორაკის იქითა მხრიდან გარკვევით მოესმა მამაკაცის სიმღერა. მძლავრი იყო იგი ხმა., აგუგუნებული და ზავთიანი. ვიღაც მღეროდა და იმ სიმღერას ხანგამოშვებით ხმამაღალი შეძახილიც ერთოდა.

— „მიდი, ლურჯა.. მიდი.. ჩქარა... შეჩერდიი!“

ყური დაუგდეს სიმღერას. გაეცინათ.

— ლომინაძე მღერის.. — ჩაილაპარაკა დოროთემ და ოფლი მოიწმინდა.— ალბათ აქ მუშაობს, ჩაის პლანტაციაში... გავიაროთ... ვნახოთ... ნამდვილი

პირველი ცხენოსანია... ისე მღერის, როგორც წითელარმიელი. აგერ ნახავ, წელს მაგ ცალხელა კაცმა რამდენი შრომადღე გამოიმუშავოს.

— სამწუხაროა, რომ ასეთი კაცი დაშავებულა — შენიშნა აგრონომმა.

— დაშავებულაო რომელია, აგრონომო, შენ ახალი კაცი ხარ ამ სოფელში და არ იცი მაგის ამბავი! მეც ისე ვუყურებდი, როგორც ინვალიდს... ყველას გვეცოდებოდა... სამოქალაქო ომში დაზიანდა და პატივს ვცემდით... მაგას კი თავისი თავი არასოდეს არ მიაჩნდა შრომისუნარმოკლებულად და მართალიც ყოფილა. იანვარში წითელარმიელებმა აი ის ცხენი გვაჩუქეს... ლომინაძის მეტმა ვერაფერი ვერ გაუგო. ჩავაბარეთ... კარგად მოუარა. დავაწინაურეთ.. მეხარეთა ბრიგადირი არ გვივარგოდა, გამოვცვალეთ და ის ავირჩიეთ... მშვენივრად დააყენა მუშაობა. ჩვენისთანა ხარები დღეს მთელ რაიონში იშვიათად თუ ეყოლება ვისმე, გულდაგული და მარჯვე კაცია... კარგად წაიყვანა საქმე...

ფერდობს გადაადგნენ. მათ თვალწინ კიდითკიდემდე გადაიშალა ვრცელი ფართობი ჩაის პლანტაციებისა... პატარა ბორცვის იქითა მხრიდან ისევ მოისმოდა სიმღერა. არავინ ჩანდა გორაკს გადაღმა ცხენმა დაიჭიხვინა... მოისმა რაღაც ჭრიალი. ჯერ ცხენი. გამოჩნდა, მერე ცალხელა კაცი. თავმჯდომარე და აგრონომი იმ მხრივ წავიდნენ. ლომინაძემ დაინახა რა მისკენ მიმავალნი, შეჩერდა. ოფლი მოიწმინდა და ცხენს ღვედები შეუსწორა, ცხენმა ყურები სცქვიტა და დაიფრუტუნა.

— შანშია, შენი სიმღერა ტყეში მოგვესმა... რაფერ არის საქმე... კარგად მუშაობს საშეფო ცხენი?

— მშვენივრად...—აღტაცებით დაიწყო შანშიამ—წელანაც გითხარი... იცი, დროოთე, უკეთესი ცხენი არ მეგულება ჩვენს თემში... პირველია, პირველი. მე კა არ მიხუმრია: თუ ასეთი ამიხდი დარჩა, ამ პლანტაციებს მარტო მე, ცალხელა კაცი, ამ ცხენით სულ ადრე გავაფხვიერებ... ასე რომ ამ საქმეზე ჩვენ ხარებს არ მოვაცდენთ... ფინთიხივით მიდის კავში... გუთანიც მე მოვუმზადე... ძალიან მსუბუქია... ხომ გახსოვთ ამ ცხენმა არტემა ლაშხი ხის ნამორივით რომ დააგორა, მაშინ შევამოწმე ამის ძალა. ცხენოსან ჯარში გაწრთვნილი ცხენი ყველაფერში გამოდგება... — ცხენთან მივიდა. ყურები დაუსრისა. თვალები საოცრად უბრწყინავდა შანშიას... უბრწყინავდა სახე. მხნედ იხედებოდა. მისი სიტყვა მტკიცე იყო და იმედიანი.

— თქვენ თვითონ შეამოწმეთ, როგორ მიდის ჩვენი ცხენი კავში... — მიმართა ლომინაძემ იქ მყოფთ და კავი აამოძრავა. ცხენი მარდად წავიდა ჩაის ბუჩქებ შორის. გადმოაფინა შავი ბელტები.

— ჩვენ მივდივართ, შანშია... — უთხრა რამდენიმე ხნის შემდეგ ჯიბუტმა ლომინაძეს და მუშაობა მოუწონა.

— მეც მალე ჩამოვალ. — მიაძახა შანშიამ ისე, რომ კავისათვის ხელი არ გაუშვია. ისინი წავიდნენ. ლომინაძემ მარდად გადაჰკრა ცხენს მათრახი და პირველი ცხენოსანის სიმღერამ ერთხელ კიდევ გააღვიძა გარემო.

„დაუდგრომელი ბესარიონი“

(ბ. გ. ბელინსკის დაბადების 125 წლისთავის გამო)

რუსეთის გენიალური კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე იმ დროს (1834—1848 წ. წ.) როდესაც ნიკოლოზ პირველის სამხედრო-ფეოდალური მონარქიის საყრდენი—ბატონყმური მეურნეობა—რღვევას განიცდიდა და ბურჟუაზიის სახით ფეხს იდგამდა ახალი პოლიტიკური ძალა. მუშათა კლასი ამ დროს მხოლოდ როგორც ჩანასახი თუ არსებობდა.

ბელინსკის წინა ეპოქაში, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ადგილი ჰქონდა ბატონყმობის რევოლუციური გზით ლიკვიდაციის ცდას. ეს იყო პუგაჩოვის აჯანყება, გლეხური რევოლუციის მძლავრი, მაგრამ არა სასიკვდილო დარტყმა თვითმპყრობელობაზე. ვერ მოიტანა სასურველი შედეგი ვერც დეკაბრისტების ცდამ, რათა სამხედრო-რევოლუციური გადატრიალების გზით დაეყენებიათ რუსეთი სწრაფი კაპიტალისტური განვითარების გზაზე.

ამრიგად ეპოქის მთავარი სოციალური საკითხი—ბატონყმობის მოსპობა და ახალი საწარმოო ურთიერთობისათვის გზის გახსნა—გადაუჭრელი დარჩა. იმ დროის მოწინავე პოლიტიკური აზროვნების და მწერლობის წარმომადგენლებსაც სწორედ ეს საკითხი ჰყოფდა ორ ბანაკად: „სლავიანოფილებად“ და „ზაპადნიკებად“. პირველნი ადგნენ ბატონყმობის შენარჩუნების გზას და რუსეთისათვის სავალდებულოდ არ სთვლიდნენ კაპიტალისტური სტადიის გავლას. დასავლეთი ლპობას განიცდის, რუსეთი მას ვერ გაჰყვებაო—იძახოდნენ ისინი. მეორეთა აზრით კი რუსეთი ვერ ასცდებოდა ევროპის (ე. ი. კაპიტალიზმის) გზას. ბელინსკი ზაპადნიკების მხურვალე მიმდევარი იყო. იგი სწერდა: „რუსეთის სამოქალაქო განვითარების შინაგანი პროცესი დაიწყება მხოლოდ იმ წუთიდან, რა წუთშიაც რუსეთის თავადაზნაურობა ბურჟუაზიად გადაიქცევაო“.

ბელინსკის იმედი ჰქონდა, რომ ბურჟუაზიასთან ერთად კულტურა და განათლებაც დამკვიდრდებოდა და ეს დააჩქარებდა თვითმპყრობელობის აღსასრულს. ამიტომაა, რომ მას რეოლუციურ განმანათლებელთა რიგებს აკუთნებენ. ამ თვალსაზრისიდან გამოდის ბელინსკი თავის პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებში. ესაა სტატია „ლიტერატურული ოცნებები“, რომელიც ითვლება რუსეთის ახალი ლიტერატურული კრიტიკის დაწყების თარიღად. ბელინსკის წინადროის კრიტიკა (ნადეჟდინი, პოლევოი და სხვ.) სავსებით უარჰყოფდა რუსეთში მწერლობის არსებობას—ლომონოსოვიდან კარამზინამდე,—მაგრამ მათს უსაზღვრო უარის ჰყოფას არ გააჩნდა სათანადო განმარტება—დასაბუთება.

თავის პირველ სტატიაში ბელინსკიც უარჰყოფს წინა ლიტერატურის არსებობას, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისი არსებობის გამამართლებელ უფლებას. მაგრამ მისი უარყოფითი პოზიცია სხვაგვარია. ბელინსკის აზრით, მხოლოდ ოთხ მწერალს

ბ. ბელინსკი

შეიძლება ეწოდოს რუსი მწერლის სახელი. ესენი არიან—დერჟავინი, პუშკინი კრილოვი და გრიბოედოვი. საერთოდ კი, ჯერ მწერლობა ჩვენ არ მოგვეპოება. ჩვენთვის ახლა საჭიროა არა ლიტერატურა, არამედ სწავლა, სწავლა და სწავლაო. ხსენებულ ოთხ მწერალს ბელინსკი სთვლის რუსეთის ორიგინალურ, თვითმყოფ, ნაციონალურ მწერლებად. ესენი არიან, მისი აზრით, ხალხურობის (народность) გამომხატველი მწერლები. პირველ ხანებში ბელინსკი გულისხმობს „ხალხურობას“, როგორც მწერლობის შინაარსის და ფორმის ნაციონალურ სპეციფიურობას და უარჰყოფს ლომონოსოვს და სხვა ძველ მწერლებს მათი ბრმა და უსაზღვრო მიმბაძველობისათვის. ბელინსკი მთელი თავისი ძალღონით ებრძვის რომანტიზმს, განუყოფელად მწერლობაში და კრიტიკულ აზროვნებაში, როგორც რეაქციურ საწყისს და გზას უკაფავს რეალიზმს ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ „ნატურალურ“ მიმართულებას (უკანასკნელი პერიოდის პუშკინი, გოგოლი, ლერმონტოვი). მან პირველმა განსჭვრიტა გოგოლი—რეალისტის უდიდესი ძალა და უშიშრად და თამამად უწოდა მას „რუსეთის ლიტერატურის მეთაურის“ სახელი, მაშინ, როდესაც გაბატონებულ რეაქციურ კრიტიკას გოგოლის ნაწარმოებები „მასხრულ ფარსად“ და „მდაბიო, მურტალ“ მოვლენად მიაჩნდათ. ბელინსკიმ გოგოლის გენიალურ მხატვრობაში, მის სატირაში იგრძნო არსებული წესწყობილების ძლიერი უარჰყოფა და დასახა იგი, როგორც საყრდენი და აუცილებელი წინაპირობა რევოლუციური პრაქტიკისა ბატონყმური რუსეთის სინამდვილეში.

ამის შესატყვისად, ბელინსკიმ სულ სხვანაირად გაიგო და განმარტა „ხალხურობის“ შინაარსი. ხალხურობა ახლა მას ესმოდა უკვე როგორც რეალური სინამდვილის გამოსახვა, როგორც ერის უმრავლესობისათვის, ხალხისათვის საარგებლო საწყისი.

მაგრამ ბელინსკი ერთი ხელის დაკვრით როდი მივიდა რეალისტურ მსოფლმხედველობამდე. იგი მთელი წლების განმავლობაში იბრძოდა იდეოლოგიური თვითგამორკვევისათვის, იბრძოდა იმისთვის, რომ დამოუკიდებელი და მტკიცე გამხდარიყო სწორ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ პოზიციების გამოძებნაში.

თავისი მსოფლმხედველობის გამორკვევის პროცესში ბელინსკი სასტიკად ესხმოდა თავს ყოველგვარი უნიადაგო ოცნების, „მანილოკშჩინის“ გამოვლინებას მწერლობაში. როდესაც ბელინსკის და პუშკინის ეპოქის თვალსაჩინო პოეტმა ბარატინსკიმ თავის „უკანასკნელ პოეტ“-ში მორთო ვაება, რომ ახალი ეპოქა მისი მრეწველობით და ანგარებით აფრთხობს და სპობს პოეზიასო:

Исчезнули при свете просвещенья
Поэзии ребяческие сны,
И не о ней хлопочут поколенья,
Промышленным заботам преданы,—

ბელინსკიმ ასეთი პათოსით უპასუხა მას: „არიან ადამიანები, **რომლებიკ** სავსებით დარწმუნებული არიან მასში, რომ პოეზია არის ოცნება და არა სინამდვილე და რომ ჩვენს, **დადებითსა და ინდრუსტრიალურ** საუკუნეში პოეზია შეუძლებელია (ხაზი ბელინსკისაა.—ა. ა.). რა სანიმუშო უვიცობაა! რა პირველხარისხოვანი სისულელეა! რა არის ოცნება? აჩრდილი, ფორმა უშინაარსოდ,

უსაქმური აზროვნების და მოყირჭებული მგრძნობიარობის ნაყოფი... რა უბადრუკი და დახავსებული აზრია, თითქო ჩვენი **დადებითი და ინდუსტრიალური** საუკუნე ხელოვნების მტერია. განა ჩვენ საუკუნეს არ ეკუთვნიან ბაირონი, ვალტერ სკოტი, კუპერი, თომას მური, უორდსვორტი, პუშკინი, გოგოლი, მიცკევიჩი, ჰაინე, ბერანჟე, ელენშლეგერი, ტეგნერი და სხვები? განა ჩვენს საუკუნეში არ მოქმედებდნენ შილერი და გოეტე?-ო.

ცნობილია, რომ ბელინსკამდე რუსეთში იყო კრიტიკა და კრიტიკოსები, მაგრამ არ ყოფილა ცდა მწერლობის განვითარების ეტაპების, მისი თანდათანობითი ზრდის, ე. ი. ლიტერატურის ისტორიის მოცემისა. ბელინსკიმ ბრწყინვალედ შეავსო ეს დანაკლისი. და თუმცა მას არ დაუსრულებია განზრახული დიდი ნაშრომი „რუსული ლიტერატურის თეორეტიული და კრიტიკული კურსი“, მაგრამ მთავარი მისი ნაწილები დასტოვა ცალკე სტატიების სახით. როგორც დიდ განმანათლებელს, მას ისტორიულად წილად ხვდა განემარტა და დაედგინა ისეთი ცნებები, თუ „რასა ჰქვიან ლექსთწყობა და როგორი უნდა იყოს იგი, რა არის ლიტერატურა, რა არის კრიტიკა, რა არის პოეზია, რა არის ჟურნალი... იმ დროის საზოგადოებისათვის სასარგებლო იყო, რომ ბელინსკიმ თავისი კრიტიკული მოღვაწეობა დაიწყო არა უშუალოდ ჩვენი სინამდვილის შუა-გულში შეჭრით, არამედ ასეთი საერთო ხასიათის მსჯელობით“-ო,—ამბობს ჩერნიშევსკი. ამგვარად, ბელინსკი ერთ და იმავე დროს ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ესთეტიკოოსი (თანამედროვე ჩვენი ტერმინით რამ ვთქვათ, ლიტერატურისმცოდნე) და მებრძოლი პუბლიცისტიც იყო.

ბელინსკი გახდა დამოუკიდებელი მოაზროვნე მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიარა წინაალმდეგობით და ჩავარდნებით, შეცდომებით და თვითმხილებით აღსავსე გზა. მის წინაშე წამოჭრილ სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრობლემათა გადასაჭრელი გზების მიგნება და მათი გადაჭრა ჭეშმარიტად გამოიტანჯა ამ დიდმა ადამიანმა. ბოლომდე გულწრფელი და შოუპოვარი, მოკრძალებული და იმავე დროს მტკიცე, ულმობელობამდე თანამიმდევარი დიალექტიკოსი და მოდავე, შეურიგებელი მებრძოლი თავის წმიდათა-წმიდა იდეალისათვის, იგი მუდამ აგზნებულ სახედ დგას ჩვენს წინაშე.

Диалектик обаятельный,
Духом смел и сердцем чист,
Помню я твой взор мечтательный
Либерал-идеалист.—

ამბობს მასზე ნეკრასოვი. ბელინსკის სასიკვდილოდ სძულდა ლიბერალიზმი და ლიბერალები, იგი თავის მოღვაწეობის სულ მოკლე დროის განმავლობაში იყო იდეალიზმის ტყვეობაში. და ნეკრასოვის მისდამი მიმართვა: „ლიბერალო-იდეალისტო“-ო, უნდა გავიგოთ, როგორც ეზოპის ენით, ქარაგმით ნათქვამი: „ლიბერალო“, ე. ი. რევოლუციონერო, „იდეალისტო“, ე. ი უმწიკვლო, უანგარო.

მოვიგონოთ, რომ ბელინსკის უწოდებდნენ „ლიტერატურულ რობესპიერს“ და კანონიერ ლიტერატურულ ხელისუფალთა დამამხობელს. და როგორმა სინანულმა შეიპყრო, როგორი ტანჯვა გამოიარა ამ მოუსყიდველმა მებრძოლმა და

მოაზროვნემ, როდესაც შეიგნო, რომ ყალბად ჰქონდა გაგებული ჰეგელის ფილოსოფიის რაობა. ჰეგელის დებულება: „რაც გონიერია, ის ნამდვილია, და რაც ნამდვილია, ის გონიერია“-ო, ბელინსკიმ განმარტა, როგორც მიღება და შერიგება ყველაფერ არსებულთან. ამ აზრით გატაცებულმა მან დასწერა რამდენიმე სტატია: „ბოროდინოს წლისთავი“, „გოეტეს კრიტიკოსი მენცელი“ და სხვ., სადაც მივიდა ისეთ უკიდურეს დასკვნამდე, რომელთაც არ გულისხმობდა თვით ჰეგელი. ასე, მაგ. ჰეგელის სისტემის მართლმორწმუნე დამცველი და მიმდევარი ბელინსკი, როგორც „გონიერს“ ამართლებდა ბატონყმობის საზიზღარ ინსტიტუტს, ცარიზმის ბოროტებას და ა. შ.

როდესაც, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ჰეგელიანურმა სიგიჟემ“ განვლო, ბელინსკიმ თითონვე განმარტა, რომ არა ყველაფერი ის, რაც არის სინამდვილეში, ნამდვილია, და რომ მხატვრისათვის უნდა არსებობდეს მხოლოდ გონიერი სინამდვილე.

ახლა მე ახალ უკიდურესობას განვიცდიო—სწერს იგი ერთ თავის მეგობარს, მწერალს ბოტკინს—ეს არის სოციალიზმის იდეა, რომელიც ჩემთვის გადაიქცა იდეათა იდეად, მყოფობის მყოფობად, საკითხთა საკითხად, რწმენის და ცოდნის ალფა და ომეგად..... მე თანდათან უფრო მარატისებურად მიყვარს კაცობრიობა. და რომ მისი თუნდაც უმცირესი ნაწილი გახდეს ბედნიერი, ვგონებ, ცეცხლითა და მახვილით მზადა ვარ შევმუსრო დანარჩენი მისი ნაწილი... აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, მეფე და ქვეშევრდომი, იქნებიან მხოლოდ ძმები, მხოლოდ ადამიანები... და ყოველივე ეს უნდა მოხდეს სოციალობის საშუალებით. ამიტომ არ არის რა იმაზე მაღალი და კეთილშობილი, რომ ხელი შეუწყო მის განვითარებას და წარმატებას. სოციალობა, სოციალობა—ან სიკვდილი.

ბელინსკი სამუდამოდ ღალატობს გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიას და გადადის ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის მხურვალე მიმდევართა ბანაკში. ბევრს ეცადნენ იდეალისტურ-კონსერვატიული ლიბერალიზმის წარმომადგენლები (და მათ შორის რუსეთის უდიდესი მწერალი ი. ს. ტურგენევი) ბელინსკის „ღალატის“ მიჩქმალვას და მის გამოცხადებას „იდეალისტად ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით“. მაგრამ უკანასკნელი პერიოდის ბელინსკის მოწყვეტა რევოლუციურ, მატერიალისტური პოზიციებიდან შეუძლებელია. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა ფეიერბახის ფელოსოფიისა, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციურ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის იდეალს და რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია მარქსიზმთან.

ფეიერბახის ფილოსოფიას იზიარებდნენ, როგორც ბელინსკი, ისე მისი ისეთი იდეურ-პოლიტიკური მემკვიდრეები და განმგრძობები, როგორიც იყვნენ ჰერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გლეხური რევოლუციის შესანიშნავი იდეოლოგები.

„ეს ფილოსოფია შეითვისა რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიამ, გლეხური რევოლუციის იდეოლოგებმა ბატონყმური მეურნეობის ლიკვიდაციის პერიოდში. იგი ყველაზე უფრო უპასუხებდა მის კლასობრივ ამოცანებს და მის ძალთა ორგანიზაციის საქმეს“ (ვ. ლებედევი-პოლიანსკი).

იდეალისტური ფილოსოფიის პოზიციებზე ყოფნის დროს ბელინსკი ავითარებდა ესთეტიკურ, განყენებულ და სინამდვილესა და პრაქტიკას მოწყვეტილ კრიტიკას. მაგრამ მატერიალიზმის ათვისების შემდეგ იგი გაიმსჭვალა ცხოველი სინამდვილის ინტერესებით, რუსეთის „საზიზღარი სინამდვილის" თავისსამტვრევი საკითხებით. იგი განუმარტავდა მკითხველებს პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, გოგოლის ნაწარმოებთა მნიშვნელობას ცხოვრებისათვის და მწერლობაში კი ეძებდა ცხოვრებასთან მიმყვან და მჭიდროდ დამაკავშირებელ ურთიერთობას და გეზს.

ხელოვნებას რომ საზოგადოებრივ ინტერესებისადმი საძსახურის უფლება ჩამოართვათ, ეს მის ამაღლებას კი არა, მის დამცირებას ნიშნავს, ეს ნიშნავს, რომ გამოაცალოთ მას მისი მასულდგმულებელი ძალა, გახადოთ იგი სიბარიტული დატკბობის ერთგვარ საგნად, უქნარ ზარმაცთა სათამაშოდ, — ამბობს ბელინსკი.

„სინამდვილისაგან დამოუკიდებელი ხელოვნება", „ხელოვნება ხელოვნებისათვის", „წმინდა ხელოვნება" — ბელინსკი მთელის თავისი ვნებით და შეუპოვრობით თავს ესხმის ამ რეაქციურ და თვალთმაქცურ „პრინციპს". იგი ამჟღავნებს, რომ მათ უკან იმალება კლასობრივი, გაუმაძღარი ეპიკურეიზმის და სხვისი ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრების გამართლება. ჩერნიშევსკის განმარტებით, ბელინსკის მოღვაწეობის რაობა შეიძლება გავიგოთ, როგორც მისი ეპოქის საუკეთესო მისწრაფება ჰუმანობისა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. ისე, როგორც დობროლიუბოვის ლოზუნგი, რომ „ყველა კარგად იყოს" („чтобы всем было хорошо"), ბელინსკის მისწრაფებების ნამდვილი სახელია სოციალიზმი, რომლის ხსენება ბეჭდვით სიტყვაში შეუძლებელი იყო.

თავის ნაწერებში ბელინსკიმ გადააფასა რუსეთის მთელი წინა პერიოდის მწერლობა დაწყებული ლომონოსოვიდან, და გადააფასა მეცნიერული ანალიზის საშუალებით. მისმა მუშაობამ გზა გაუკვალა გ. ვ. პლეხანოვის ისეთ ნაშრომს, როგორიცაა „რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორია". ბელინსკის კრიტიკის უშუალო ზეგავლენით აღიზარდა რეალისტური მწერლობის ისეთი ბუმბერაზი ფუძემდებელი, როგორიცაა გოგოლი. ბელინსკიმ პირველმა შეამჩნია და აღტაცებით მიესალმა ტურგენევის, გონჩაროვის, დოსტოევსკის გამოჩენას რუსეთის მწერლობაში. ბელინსკიმ პირველმა კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით განუმარტა მკითხველს შექსპირის, გოეტეს გენია. მან სთქვა, რომ ისინი არ ეკუთვნიან მარტო ხელოვნებას. „ახალი ხელოვნების ხასიათი მდგომარეობს მასში, რომ მთავარი მნიშვნელობა ეკუთვნება შინაარსს, შინაარსი გადასძლევს ფორმის მნიშვნელობას"-ო.

ბელინსკი იცნობდა მთელს ევროპულ ლიტერატურას. მის სტატიებში შეხვდებით დასაბუთებულ მსჯელობას ბალზაკზე, ჟორჟ ზანდზე, ეჟენ სიუზე, იგი იცნობს გერმანელ რომანტიკოსებს, იგი უარჰყოფს დიუმა (მამის) უშინაარსო გამომგონებლობას და ფანტაზიას და მხურვალედ იღებს ჟორჟ ზანდის სოციალიზმს. ბელინსკი სწუხს რუსეთის ფერწერითი ხელოვნების უსულგულო, აკადემიურ არტახების ტყვეობაში ყოფნას და დიდის ენტუზიაზმით ათვალიერებს (საზღვარგარეთ ყოფნის დროს) იტალიური აღორძინების დიად მხატვართა —

რაფაელის და სხვ. შედევრებს და თავის წერილებში აცილებს მათ ყალბი რომანტიკის სამოსელს.

ბელინსკი ამხელს თავისი დროის თეატრის რეპერტუარის უბადრუკობას და მხურვალედ ეხმაურება შექსპირის დადგმებს რუსეთში და დიდი მსახიობის მოჩალოვის თამაშს „ჰამლეტში"-ში.

ბელინსკი დაუზოგველი იყო, როგორც დავისი, ისე სხვისი იდეურ-პოლიტიკური შეცდომების მხილებაში. თავის სათაყვანებელ გოგოლს იგი სწერს შესანიშნავ პირად წერილს (რადგან მისი დაბეჭდვა მაშინ შეუძლებელი იყო), რომელიც **ვ. ი. ლენინის** თქმით, „აჯამებს ბელინსკის სამწერლო მოღვაწეობას და წარმოადგენს უცენზურო დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებს, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა უდიდესი და ცხოველმყოფელი მნიშვნელობა".

ბელინსკიმ შეაიარაღა თავისი თანამედროვე მწერლობა მისი ეპოქისათვის მოწინავე ფეიერბახიანული მატერიალისტური თეორიით, იგი წინ უძღოდა მწერლობას და თავისი დაუღალავი ბრძოლით მიაღწია მსოფლმხედველობის ისეთ სიმაღლეებს, რომელიც კი შესაძლებელი იყო მაშინ.

რაც უნდა მდიდრად გაიფურჩქნოს რუსეთის ლიტერატურა, ბელინსკი ყოველთვის დარჩება როგორც მისი სიამაყე, მისი დიდება, მისი მშვენება — სთქვა დობროლიუბოვმა.

ჩვენი დიადი ქვეყნის თავისუფალი და ბედნიერი მშრომელი ხალხი, არ ივიწყებს რა ბელინსკის მარატისებურ სიყვარულს ხალხისადმი და მის უსაზღვრო სიძულვილს თვითმპყრობელობისა, ბატონყმობისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისადმი, თავისი გენიალური ბელადების **ლენინისა და სტალინის** დროშის ქვეშ, სოციალიზმისათვის ბრძოლაში ითვისებს დაუდგრომელი ბესარიონის მდიდარ მემკვიდრეობას.

ალი არსენიშვილი

ზალვა აფხაიძე

ლიზეარაზურის ახალი კადრები

II

პოეტურ შემოქმედებაში მაღალ იდეურ გამართულობას აუცილებლად თან უნდა ახლდეს შესრულების მაღალი ხარისხი.

პოეტ დურუჯელს აკლია ლექსის კულტურა, შინაგანი თვალი, რაც მღელვარე ასოციაციებს უნდა იწვევდეს:

შეუძლებელია ასეთი თქმა:

ამღერდა გული ახალ მოტივით...

ან და ასეთი სტრიქონები:

ვდგავარ... სიმღერის ტალღა მაცვია—
მოჩანან მთებიც კვამლით ნაღრუბლი...

და შემდეგ, მოხდენილი მინდორი ფართე და წარმატაცია

როგორც ილიას გაშლილი შუბლი.

„კვამლით ნაღრუბლი“ მხოლოდ შუბლთან გარითმვის მიზნით არის მოტანილი, სხვა დანიშნულება მას ლექსში არა აქვს, და არც ვარგა.

ლექსში „ორდენოსანთა სამშობლოსათვის“, რომელიც სოციალისტური მშენებლობით გამოწვეული გზნებით და აწეული ტონით არის შესრულებული, ასეთ სუსტ, მხატვრულ სიახლეს მოკლებულ სახეებთან ერთად ხშირად კარგი, მხატვრულად გამართული სტრიქონებიც არის. პოეტი, ასე ვთქვათ, ახერხებს ახალი ფერებისა და ტონების მონახვას. და ამით მეტ ექსპრესიას, გამართულებას აძლევს აფორიზმის პრეტენზიით ნათქვამს:

დარჩები მუდამ ცხოვრებაში ბრიყვი და კენტი,
თუ ვერ უმღერე მშრომელ მასას უკვდავი გრძნობით.

ერთგვარ ეჭვს იწვევს მკითხველში მისი ლექსის „მამაჩემს“ ერთი ადგილი. როგორც აღვნიშნე, ივ. დურუჯელი ახალი ცხოვრების მომღერალია, მისი აღტაცებული მონაწილეა. მისი ლექსის იდეოლოგიური მხარე საკმაოდ ჯანსაღია, მისაღები და ამიტომ გაუგებარია ასეთი მიმართვა მამისადმი: ძველად გიყვარდა:

ქვევრთან ჯდომა, თამაში ყანწის,
ქამარ-ხანჯალი და შრიალი ჩოხა ქიშმირის...

და უეცრად ამ კულაკურ დროსტარების ფონზე:

უჟმურ ცხოვრებით თუმც მოხუცდი და მოიქანცე—
მაინც გახდი დღეს სტახანოვურ ეპოქის გმირი!

აქ გაოცებას იწვევს წარსული „უჟმური ცხოვრება“. რატომ ჰქონდა მას „უჟმური ცხოვრება“? აკი ქვევრთან იჯდა ხოლმე, ყანწებს ათამაშებდა ხელში და არც ჩაცმა-დახურვა აკლდა? რაღაც შეუსაბამობაა და იგი გამოწვეულია პოეტის დაუფიქრებლობით, მხოლოდ გარითმვის აკვიატებული ”ჟინით და საოცარი ნაყოფიერებით: წარმოდგენილ ცხრა ლექსიდან ხუთი დაწერილია ასეთ თარიღებში: 10/IV, 20/IV, 28/IV, 2/V 5/V. სხვებს თარიღი არ აქვს.

აქედან რა დასკვნა გამომდინარეობს? აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პოეტმა უნდა იმეცადინოს, შეისწავლოს ლექსის ტექნოლოგია, შეისწავლოს წარსული კლასიკური ლიტერატურა, მიმდინარეობანი, თორემ რა გამოვა? გამოვა „სიტყვიერი ქერტლი“, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკე, ბანალური სახეები, წინასწარ გარითმულ სიტყვების მექანიკური შეკოწიწება. გამოვა ის, რომ ასეთი შეუსაბამობით დაამთავრებს ახალი სამშობლოსადმი მიმართულ, აღტაცებულ გულწრფელ ლექსს:

დროა გაცოცხლდეს—ბარათაშვილი
და მთელ მსოფლიოს ჰანგზე ამღერდეს!..

ამხანაგს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ბარათაშვილის ნიჭის ინტენსივობა, მისი გენიის სიძლიერე, რომ დღევანდელ ცხოვრების ასამღერებლად საჭიროა ბარათაშვილისებური მძლავრი გენიის გამოჩენა. სხვანაირი გაგებით ამ სტრიქონებს კურიოზული ხასიათი მიეცემათ. ბარათაშვილი უდიდესი პოეტია, მის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა გარკვეულმა განწყობილებებმა. გარკვეული ეპოქის და მსოფლმხედველობის ძლიერმა ნაკადმა. ჩვენს ეპოქას კი დიამეტრულად საწინააღმდეგო მსოფლგზნება, სიცოცხლის გაგება ახასიათებს. ასეთი პარალელი საფრთხილოა.

ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა ფესვების აღმოფხვრა აუცილებელია. „მწერალი ვალდებულია იცოდეს რაც შეიძლება მეტი“,—ამბობს გორკი ერთერთ თავის

წერილში. იგი ვალდებულია იცოდეს გაცილებით მეტი, ვიდრე მისმა მასიურმა მკითხველმა, სხვაგვარად ზეგავლენას ვერ მოახდენს. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ღრმად უნდა დაეუფლონ ლენინ-სტალინის პარტიის დიად იდეებს, ყოველმხრივ შეისწავლონ სოციალისტური სინამდვილე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი საშინელ „ლიტერატურშჩინის“ სენის დაძლევა, მხატვრულ შემოქმედებისათვის უბრალო,მარტივ, მაგრამ დიდი ემოციების შემცველი ფორმის გამონახვა, ცოცხალი, მღელვარე ვნების დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოცემა და ისეთი განწყობილების შექმნა, რომელიც ააღელვებს მკითხველებს, აღაფრთოვანებს მათ დიდი საქმეებისათვის.

დიდ შემოქმედთა ხელნაწერების შესწავლამ ბოლო მოუღო მშვენიერ ზღაპარს რაღაც წმინდა, ხალას ზეშთაგონებაზე, რომლის მიხედვითაც თითქოს მწერალი სადღაც, ქვეცნობიერების არეში წამოშლილ მზამზარეულ სახეებს ღებულობდეს, ყოველგვარი ტექნიკური ხასიათის მუშაობის გაუწევლად, ყოველგვარი ტექნოლოგიური პროცესების გარეშე. დიდ შემოქმედთა ხელნაწერების შესწავლამ აშკარა გახდა, თუ როგორ ებრძვის იგი სიტყვას, რა მწვავე და მტანჯველია ეს ბრძოლა სიტყვის საბოლოოდ დაუფლებისათვის წარმოებული. მხოლოდ ასეთი ბრძოლის შედეგად მიუღწევიათ დიდ მწერლებს მხატვრულად სრულყოფილ ნაწარმოებთა შექმნისათვის. ასე ებრძოდა სიტყვას პუშკინის გენია, ასე იპყრობდა მას ტოლსტოი, ჩვენში ილია და სხვა დიდი მწერლები. ცნობილია თუ რა საოცარი გულისყურით, სიყვარულით, სათუთად ეპყრობოდა ილია საგაზეთო პუბლიცისტურ წერილებსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის პოეტურ პროდუქციაზე.

ლირიკული ცეცხლით არის გამთბარი გ ი ო რ გ ი კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ლექსი „გაზაფხული და სურვილი“. აღსანიშნავია, რომ ეს ვიწრო პირადული განცდები მის ლექსში არ არის გამოთიშული საერთოს, ქვეყნის ცხოვრებას. მათ შორის სრული ჰარმონიაა დამყარებული.

მოდი, მე ხომ არ გაგაგულისე,
იის თვალები აანთე ჩქარა!
ბედი სამშობლოს გაზაფხულისა
ჩვენი ბედია, მერწმუნე, მარად.

სამწუხაროდ არც კალანდაძეა დაზღვეული ბუნდოვან, დაბნელებულ სახეებისაგან, სიტყვათა ხერგისგან.

მთებიდან თოვლის ათინათები
თასებს ესვრიან წითელ განთიადს.

ან-და

ზეცას სიწითლე შეეპარება,
ჩამოხევს სხივი ლაინის ფარდებს,
აღმოსავლეთის აელვარება
მძივებს გაუყრის ღრუბლების ვარდებს.

სუსტი სტრიქონებია ემოციური ზეგავლენის თვალსაზრისით და მათ განვლილ რკალდასრულებულ ლიტერატურული სკოლის ზედმეტი გავლენა ეტყობა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ამხანაგს პეიზაჟის გადმოცემა ეხერხება, და იგი მოცემულია არა თავისთავად, არამედ გაშუალებით, პოეტის შთაგონების პრიზმაში გატარებით.

საკუთარი ხმის ძიება, საკუთარი მუსიკალური ფრაზისა და წერის მანერის გამომუშავების ცდა ეტყობა უთუოდ საინტერესო, ძარღვიანი სიტყვის ავტორს ამხანაგ შ ა ლ ვ ა ა მ ი ს უ ლ ა შ ვ ი ლ ს. იგი ცდილობს საკუთარი ფერისა და ტონის გამოძებნას. მუშაობს ფორმალური ხერხების გამომუშავებაზე და ზოგჯერ მიზანსაც აღწევს. მისი ლექსი დინამურია, კომპოზიციონურად შეკრული და გამართული. ასეთია ლექსი „ფიქრები ლაჟვარდში“, შინაარსობრივად ჩვენი დიდი სინამდვილიდან გამომდინარე, ხმა აწეული. სიმღერა ახალგაზრდობასა და გმირობის ეპოქაზე.

მსურს ავხმიანდე
სამაისო წვიმის შხაპუნით—
და შესადარი გიმღერო ქება.
არ დავდუმდები,
როგორც ქვევრი ამოხაპული,
ბეჭის ფრთებიდან გრიგალი დგება!

ან-და

გაზაფხულია,
დასარტყლულა მწვანე ფარჩებით:
ზვრები, მინდვრები,
სერების გროვა...
მთაში ჩახჩახებს
უმრავი ლურჯი ჩანჩქერი:
—სიყვარულის და გმირობის დროა.

გამძლე ოპტიმიზმით სუნთქავს მეორე მისი ლექსიც, ასევე მხატვრული სახეებით საკმაოდ მდიდარი, მთლიანი.

მაგრამ იცოდე, არ ვიგლოვებ გარბენილ ჟამზე,
რადგან ყოველი ახალი დღე სიხარულს ნიშნავს,
რადგან სამშობლოს მოჟრიალე რკინის ავჟანდებს
ვერ შეაჩერებს ამდგარი ქვიშაც.

მის ლექსს ახასიათებს დიდი რწმენა ჩვენი დღევანდელობისა, ჩვენი მშენებლობისა, ახალი ცხოვრების სმიტკიცისა, რწმენა, რომ „ველარ მოვა ზამთარი“. ეს რწმენა ახალგაზრდული გულწრფელობის იერს ამჟღავნებს და სწორედ ამიტომ არის მისი გაზაფხულის პოეზია მართალი და მისაღები. შემდეგი ბეჯითი

მუშაობით ამხ. ამისულა შვილი მოწინავე ახალგაზრდა მწერლებს შორის შეიძლება ჩადგეს.

საინტერესო ახალგაზრდა დამწყებთა რიცხვს მინდა მივაკუთნო აგრეთვე ამხანაგი ვლადიმერ უბილავა. მისი ლექსები თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოსარჩევია ლექსი „ბალადა დაკარგულ ჯარისკაცზე". იმპერიალისტური ომი ჩვენს პოეზიაში ნაკლებად არის ასახული. ამ ომის სოციალური გენეზისის გამონახვა და დაპირისპირება დღევანდელობასთან—პოეტის საინტერესო მოფიქრებად უნდა ჩაითვალოს. ლექსში არის მოხდენილი პოეტური სახეებიც:

ენგურს მოჰყვება კალმახებივით
ტანგაშოლტილი ფიჭვის მორები.

სუსტია მისი ლექსი „განწირული ხომალდი". იგი ცარიელი რიტორიკაა, მოკლებული პოეტურ სახეებს. შედარებით კარგი და ხორციანია მესამე ლექსი „გზა", რომელიც ცდილობს ერთპიროვნულ, წვრილ მესაკუთრე გლეხის ფსიქოლოგიურ განცდის, მერყეობის გადმოცემას კოლექტივიზაციის ჩატარების პირველ დღეებში. ლირიკულია მეოთხე ლექსი „აფხაზი ქალი", თუმცა მასში მდიდრადაა წარმოდგენილი ისეთი ეპიტეტები, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკე, როგორც, მაგალითად „ცხელი ზაფხული", „მძიმე ხუნდები", „ქალი მწყაზარი" და სხვ. გაუგებარია რას ნიშნავს „შორს მზე ბრწყინავდა ოქროს ლ ი ლ ი ვ ი თ. მზე და ლილი? შემდეგ—

მატარებელი კვეცდა რკინისგზას,
რომ მყის დაეპყრო უხვი ბუნება,
მთებიდან ნახტომს ჰგავდა ირმისას
ხევისკენ მისი გაშურდულება.

საოცარი ასოციაციური პარალელიზმია, ესთეტიურად ღარიბი, და, თუ გნებავთ, ნამორჩენილობის გამომხატველი. მატარებლის ქროლვის ირმის ნახტომთან შედარება—ყალბია, წარმოუდგენელი.

კარგია ა მ ი რ ა ნ გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა ს ლექსი „მთესველები".

ამღერდნენ: თესლი ვარჩიოთ,
მზეზე ვაკაჟებთ ქარ-მუხლებს.
დილის ცა ჰგავს სათარჩიოდ
შესაკერ საახალუხეს.

ქარ-მუხლები სუსტია, რასაც მომდევნო სახე სავსებით ანელებს. პოეტს, ეტყობა, აქვს ლექსის კულტურა და პეიჟაზის სოციალური შინაარსით ამეტყველების უნარი. უახლოვდება ფოლკლორულ სახეებით მეტყველებას.

მ ი ხ ე ი ლ ფ ო ფ ხ ა ძ ე ს დამწყებთა პოეტების რიცხვს ვერ მივაკუვთნებთ, რამდენად იგი უკვე იბეჭდება ჩვენს ჟურნალებში; ამიტომ მის პოეტურ პროდუქციაზე აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდები, მით უმეტესად, რომ შემთხვევა მქონდა ერთ-ერთ საბიბლიოგრაფიო წერილში გაკვრით შემეფასებია მისი პოეტური ხმა ერთი ლექსის მიხედვით, რომელიც ჟურნალ „მნათობში" იყო დაბეჭდილი.

მხოლოდ ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ერთს შეუსაბამობას მის პოეზიაში. ეს არის ნაკლები ზრუნვა მასალის დამუშავებაზე, მოწოლილ გრძნობების ნედლი სახით წარმოდგენა. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ მის ლექსს: „წვიმების შემდეგ". საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დამწყებ მწერლების ლექსში მეტად გახშირდა ამ ზამბახების, ალეანდრების, ვარდების, იასამანების და სხვა სათუთ ყვავილთა არომატის შემოტანა. ეს კანონზომიერი და დასაშვებია, მაგრამ შესაფერ პოეტურ კონტექსტში მოცემით. თორემ მეტისმეტი გაუბრალოება, წარსული ტრადიციებისკენ დიდი ნახტომის გაკეთება გამოგვივა. ეს ახალგაზრდობის, ასე ვთქვათ, ხარკია და განვითარების პროცესში დაძლეული იქნება. მაგრამ მე მსხვა გარემოება მაქვს მხედველობაში. და აი რა:

> წვიმების შემდეგ უგრძვნია ყველას
> ხასხასა მოლი, ჰაერი ბროლის,
> თ ქ ვ ე ნ ც ი წ მ ი ნ დ ე ბ ი თ, მ ო ჰ ყ ვ ე ბ ი თ ხ ვ ე ლ ას
> დ ა ჩ ა ი მ ღ ერ ე ბ თ ტ კ ბ ი ლ ი პ ა რ ო ლ ი თ!

ესთეტიური შეუსაბამობაა. „თქვენც იწმინდებით, მოჰყვებით ხველას". ეს „ხველა" რითმისათვის უთუოდ „ყველამ" გამოიყვანა ასპარეზზე. ღარიბი, უმწეო რითმაა და მისი გულისათვის ესთეტიური კანონზომიერების დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ ღირს. „ტკბილი პაროლით ჩამღერება" ხომ ბანალობაა. შემდეგ —

> თქვენი ტუჩები გრძნობენ შეხებას
> დ ა გ ი შ რ ი ს ფ ე რ ი ი შ ლ ე ბ ა ვ ა რ დ ი,
> თითქოს დახშული კარი გეღება
> და გაგიჟებით გინდა ნავარდი.

„ნავარდი—ვარდი" მეტად გაცვეთილი რითმაა. მაგრამ მთავარია სტრიქონი: „და გიშრის ფერი იშლება ვარდი". გიშერი, როგორც ცნობილია, მეტად შავი ფერისაა. შავი ფერი სინონიმია მწუხარების, ღრმა სევდის, სულიერი ტკივილის. ვარდი —ხალისის, გაზაფხულის, სიცოცხლის სინონიმია. დასაშვებია ასეთი შეუსაბამო მეტაფორის ხმარება, როგორიცაა შავი ვარდი? საიდან გაჩნდა საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში ეს ბოდლერიზმი? ავადმყოფური განწყობილების და დაცემულობის ნიშანია იგი. აშკარაა, პოეტი შორსაა ასეთი განწყობილებისაგან და თუ მაინც მისდა უნებურად მეღავნდება იგი ლექსში, ამის მიზეზია, უნდა ვიფიქროთ, მეტაფორის ხმარებას არა საკმაოდ ცოდნა. ამაზე შევჩერდი იმიტომ, რომ ფოფხაძე იმედიანი პოეტია და ასეთი შეუსაბამობის აცილება მის შემოქმედებას მეტ ეფექტს მისცემს, გაამაგრებს. ამგვარი ცოდვა თითქმის ყველა დამწყებ პოეტს ახასიათებს და საჭიროა მათი ყურადღების გამახვილება ამ დიდი ნაკლოვანების გარშემო.

ფორმალური ხერხის ათვისების მხრივ საინტერესოთა რიცხვს ეკუთვნის ამხანაგი ა ნ დ რ ო ჟ ვ ა ნ ი ა. მას უკვე ეტყობა ლექსზე მუშაობა, ლექსის ტექნიკის დაძლევა და საყურადღებო ფრაგმენტებსაც იძლევა. მაგრამ მხატვრულ მთლია-

ნობას ხელს უშლის იდეური სისუსტე, განყენებულ, ნეიტრალურ პოზიციებზე დგომა და ხანდახან ლექსში სრულიად უხიაგო, მოულოდნელად ღარიბი სიტყვის შემოვარდნა. მთავარი და დიდი ნაკლი მისი პოეზიისა არის უიდეურობა და ზოგად ფილოსოფიურ ცნებათა მხატვრულად გამოთქმის პრეტენზიები. წარმოდგენილ ლექსებში შინაარსობრივად გამოსარჩევია „სტალინი“.

დიდი ადამიანისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისადმი,—სტალინისადმი მიძღვნილ ლექსში ცნებათა მეტი სიზუსტის დაცვა აუცილებელია. სხვა მისი ლექსები სავსებით გამოთიშულნი არიან დღევანდელობიდან, ჩვენი დიდი სინამდვილიდან და ამიტომ სუსტნი, შინაარსობრივად მიუღებელნი, ვინაიდან დროისა და სივრცის გარეშე დგანან. საინტერესოა მისი ლექსი „აფხაზური ცეკვა“. მაგრამ შეუსაბამობას აქაც აქვს ადგილი:

გამოფრინდები თეთრი მერცხალი
ფრთებად ა უ ს ო ბ მიწაზე მუხლებს.

ყურს სჭრის, ეხამუშება ეს სიტყვა „აუსობ“. დისჰარმონიულია, არამუსიკალური. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მწერალმა რაფინირებული, რაღაც სალონური სიტყვიერი მასალა უნდა იხმაროს. ყოველ სიტყვას უფლება აქვს შევიდეს ლექსში, მხოლოდ როგორც პოეტური სიტყვა და არა ცარიელი ნიშანი მოვლენისა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დამწყები მწერლების უმრავლესობა ლექსის მუსიკალობას, მელოდიკას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ლექსის დაბოლოება: „ხარ ერთი წამით დამდგარი ქარი“ კარგია, მაგრამ ნასესხები სახეა, თუ არ ვცდები პავლე იაშვილის ლექსიდან.

იდეური სიმახვილე, შინაარსის აქცენტაცია პოეტ ჟვანიასთვის აუცილებელია. უამისოდ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩადგება საბჭოთა პოეტებს შორის.

ცალკეა აღსანიშნავი ამხანაგი ქ ო ი ა ვ ა. იგი თითქმის ერთადერთია წარმოდგენილ ავტორებს შორის, რომელიც თემატიურ მასალად იღებს ქალაქის, ფაბრიკა-ქარხნის, ინდუსტრიალური მუშის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ ბრძოლას საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის. მის ლექსებში ამღერებულია თავისუფალი შრომა, ახალი სოციალისტური ცხოვრება. ეს ლექსები ცოცხალი საილუსტრაციო მაგალითია იმისა, თუ საბჭოთა სისტემა ადამიანს, შრომის ზეგავლენით, როგორ ამაღლებს და ახალ ცხოვრების შემოქმედთა რიგებში აყენებს.

მე ხომ ქუჩის ბავშვი ვიყავ წინათ!
მას ვინ მოსთვლის, თუ ვის კარზე ვეგდე...
ნავთსადგური ხშირად მქონდა ბინად,
ვმათხოვრობდი და ვცხოვრობდი ეგრე.

დღეს კი იგი სიცხოველით განიცდის იმ მჭიდრო და ნაყოფიერ კავშირს, რომელიც მასსა და მილიონებს შორის არსებობს სოციალიზმისთვის ბრძოლის ფრონტზე, ამიტომ ღრმად იმედიანია, და ჩვენი ცხოვრების მშვენიერების სრული შეგნებით ამაყი, ასეთი სენტენციური ხასიათის დასკვნას აკეთებს:

სჯობს მკვდარი იყო, თუ კი დღეს ხარ სიმწუხარეში.
გულს რა დაჩაგრავს, როს ხარობენ მილიონები.

ეს ასე ვთქვათ ცნობილი მხატვრული სიტყვის პერეფრაზირებაა, მაგრამ მაინც დამახასიათებელი.

ამხ. ქოიავას ლექსები შესრულების მხრივ მეტად პრიმიტიული და სუსტია. ღარიბია სიტყვის კულტურა და ლექსის კონსტრუქცია.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აუბრალოებენ, აიოლებენ ხშირად მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, მე შევჩერდები ახალგაზრდა ანო შიუკაშვილის ერთერთ ლექსზე, „ალაზანი“. უკანასკნელზე ვჩერდები იმიტომ, რომ მისი ნაკლოვანებანი დამახასიათებელია ბევრ სხვებისთვისაც. ავიღოთ ასეთი სტრიქონი „ღამეა მკრთალი, მხატვრის ფერად ყალმით ნაწერი“. ეს ფერად რას ეკუთვნის აქ? შეიძლება გავიგოთ ასე: მხატვრის ფერად—ეს უაზრობაა. ან ასე: ფერად ყალმით. ავტორს ეს აქვს აზრად. მაშინ სჯობია — ფერადი ყალმით. კითხვისას კი ცეზურის გავლენით სიტყვა: ფერად მხატვრის ცნებას უერთდება. ამრიგად ცეზურის როლის დაუფასებლობა იწვევს აზრის ბუნდოვანებას. მეორე — თანახმიერი ბგერების შეხვედრით, რითმით გამოწვეული მელოდიკის შეუცნობლობა, საერთოდ სრული ანარქია რითმების ხმარების მხრივ. ლექსს მუსიკალობას აძლევს არა მხოლოდ მარცვლების სიმეტრიული თანმიმყოლობა, არამედ რითმებით გამოწვეული ბგერების იდენტურობა. მრავალს ახასიათებს რითმების საოცარი სიღარიბე. „ნაწერი“—„ზეწარი“. „ველებს“—„ფერებს“ და მრავალი სხვა ამისთანანი არც რითმებს, არც ასონანსებს და არც დისონანსების რიგს არ ეკუთვნიან. შემდეგ გარითმულ სტრიქონების თანმიმდევრობის, დასრულებული სტროფის შექმნის უცოდინარობა. არსებობს შეუღლებული, ჯვარედინი და სხვა რითმები. მოყვანილ ლექსში, ისე როგორც მრავალ სხვა ლექსში (განხილულთაგან), არავითარი კანონი არ არის დაცული. ახალგაზრდები ნაკლებად იცნობენ ლექსის ფონეტიკას და სხვა მის აგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ლექსი მუსიკის საზღვართან დგას, იგი მთელი სიმფონიაა ბგერებისა და შინაგანი მუსიკალური ფრაზის, რომ იგი საშუალებაა იდეების სახეებითა და მუსიკალური ბგერებით მოცემისა.

გრძნობიერი გულწრფელობით არის დაწერილი მარიკა მიქელაძის ლექსი „ვლადიმერ მაიაკოვსკის“.

სუსტია სტროფი:

ხენი ღამეში მთლად ჩაძირულან,
მუქი ღამეა საქართველოსი.
რატომ დაეცი თავგანწირულად
ახარხარებულ მტრების ლელოზე.

არ არის სწორი, თითქოს მაიაკოვსკი დაეცა „ახარხარებულ მტრების ლელოზე“. ამხანაგის მიზანი აქ გარკვეულია, მაგრამ სიზუსტე არ არის დაცული, „მტრების ლელოზე“ პოეტი არას დროს არ მდგარა. იგი მუდამ საბჭოთა რევოლუციის ლელოზე იდგა, მაგრამ ჩაიდინა დიდი ცხოვრებრივი შეცდომა.

დასასრულ, მე მინდა შევჩერდე უთუოდ საინტერესო დამწყებ პოეტ ნინო ქობულაშვილზე. მისი ლექსები—განწყობილებით, დინამიურობით, სახეების თანდათანი განვითარებით, თქმის მანერით, რაც მათ გმირულ, ერთგვარ ეპიურ იერს აძლევს, ახალი სახის ეპიკურეიზმის შინაარსს აძლევს, შინაგანი სითბოთი შართლაც კეთილხარისხოვან პროდუქციას უნდა მიეკუთვნოს. შინაარსობრივად იგინი ჩვენი სინამდვილის ბრწყინვალებიდან გამოდიან და, რაც მთავარია, ეს სინამდვილე მოცემულია საკმაო უშუალობით. ლექსებში ისმის ჩვენი ცხოვრების დიდი მშენებლობის ხალისის ძალა. ლექსები უმთავრესად დღევანდელი სოფლის თემატიკით არის გამთბარი. ავტორი დახარბებით არის დაწაფული დღევანდელობას და მისი გულით მღერის.

სოფლის ღაჟღაჟა ქალებს
თავზე გვირგვინი ადგათ,
სიცოცხლე ფერავს თვალებს,
ზაფხული დადგა რადგან.

ეს მაგარხერხემლიან, მიწაში ღრმად ფესვებგადგმულ სახეების შთაბეჭდილებას სტოვებს. ან-და:

გინდა იჭვის მსხვერპლი
მეც გამხადო, არა?
ცას ღრუბლები მოსტაცო და წამოხვიდე ქარად,
რომ წამიღო ფოთოლივით ქარის ანაბარად,
რათა? განა ზაფხულის შუქს
ვერა ხედავ ჩვენში,
რომ ღრუბლები წამოგისხამს ამინდიან დღეში
და ქუხილით გინდა მოსპო მოვარდნილი თქეში.

თითქოს მითიური სახეებით აზროვნებს ავტორი. და შემდეგ სხვა ლექსიდან:

შუაგულ ეზოს მუხის ტოტების
ჩრდილი მანდილად შემოხვევია,
წყლებს აღარ ყოფნით კალაპოტები,
სადაც რომ ვიწრო და ღრმა ხევია.
ზაფხული დადგა და ეს სიცოცხლე
ფართეა, როგორც უსაზღვრო ველი,
მზე ხანძარია, გული საცეცხლე,
ჩვენი ცხოვრება მდიდარი რთველი.

და შემდეგ:

ჩვენ ისტორია ვარდის ფურცლებით
მოვქარგეთ, როგორც პოეტის ხსოვნა.

აღსანიშნავია სხვა მისი ლექსებიც.

ამ ლექსის ავტორი, უთუოდ საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა ლიტერატურულ კადრებს შორის. და მით უმეტესად უნდა მოეთხოვოს მას თავის თავზე, ლექსის ფორმაზე მუშაობა, რადგანაც ერთგვარი პრიმიტივიზმი ფორმალური შესრულების მხრივ მის ლექსებსაც ახასიათებს. ამ ლექსებს შესაფერი სამკაული კი განსაკუთრებით დაშვენდება და მეტ იდეურ სიმტკიცესაც მისცემს. მაგალითად, სუსტ მხარედ უნდა ჩაეთვალოს პოეტს ასეთი გაცვეთილი რითმები: ქალებს – თვალებს, ქალი — თვალი, სახე — ნახე და სხვა. ლექსის ფორმაზე მუშაობა ავტორის შემოქმედებას მტკიცე გასაქანს მისცემს. ლექსის მელოდიკა, ორკესტროვკა არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზნურ გატაცებას, არამედ უნდა ემსახურებოდეს შინაარსის ადექვატურ ფორმაში მოცემას. უნდა ითქვას, რომ ნინო ქობულაშვილი იმედიანად გამოირჩევა დამწყებთა შორის და მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

თქმულიდან შეიძლება ასეთი ზოგადი დასკვნის გამოტანა დანარჩენ დამწყებ კადრების შესახებაც, რომელთა პროდუქცია აქ ჩემ მიერ განხილული არ ყოფილა. მათ ნაწარმოებებს, გამონაკლისების გარდა, ახასიათებს: შინაარსობრივი ხერხემლიანობა, პოლიტიკური სიმკვეთრე, ღრმა ოპტიმიზმი, მხიარული, სინამდვილესთან შეფარდებული, ფერები და ტონი, ახალი სიტყვიერი მასალის ფართოდ გამოყენება და თანდათანობითი დაძლევა ძველი ლიტერატურული სკოლების, უმთავრესად სიმბოლიზმის, გავლენებისა და, დასასრულ, ლექსში მეტი კონკრეტობისა და სინათლის შეტანა. ეს, ასე ვთქვათ, ამ პროდუქციის აქტივია. მაგრამ არის მეორე მხარე, რომელიც მთელ ამ პროდუქციას ჩრდილს აყენებს, ემოციურ ზეგავლენას მეტად ასუსტებს. ეს არის ფორმალური მხარის უგულებელყოფა, ცოცხალი სიტყვის ნაცვლად ხშირად ბანალური სიტყვების კორიანტელის დაყენება, უცოდინარობა ლექსის ტექნოლოგიისა, ერთი სიტყვით ფორმის პრიმიტივიზმი. აღნიშნული ნაკლოვანებანი დასაძლევთა კატეგორიას ეკუთვნის, ვინაიდან დამწყებთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, არიან უდაო პოეტური გზნებით დაჯილდოვებულნი, მხოლოდ ამისათვის საჭირო და აუცილებელია დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოწოდების სრული რეალიზაცია — თავისთავზე სწავლისა და შეუწყვეტელი მეცადინეობის შესახებ.

ამისათვის საჭიროა დამწყებ კადრების გარშემო სრული ამხანაგური ატმოსფეროს შექმნა და დახმარება. საჭიროა თვით ამ კადრებს შორის საღი თვითკრიტიკის აუცილებლობის გრძნობის გაშლა, ერთგვარი თვითკმაყოფილების, ყოყოჩობის აღმოფხვრა; საჭიროა, დასასრულ, მათთან არა ქედმაღლური, ნიღილისტური მისვლა, ლიტერატურული სნობიზმის გამოჩენა, ირონიული ღიმილი, რაც საწუხაროდ ჩვენ გვჩვევია ხოლმე, არამედ გულწრფელი რწმენა და სიყვარული მომავალი ლიტერატურული თაობისა.

ქრონიკა
ინფორმაცია

ახალგაზრდა მწერლების თათბირი

27 სექტემბერს მწერალთა სასახლეში შესდგა ახალგაზრდა მწერლების თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციისა და საერთოდ მწერალთა კავშირის მუშაობა ახალგაზრდა კადრებს შორის.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ახალგაზრდა მწერლებში მუშაობა მწერალთა კავშირს დაუნაწილებია სექციებს შორის. პოეტების სექციის თავჯდომარემ ამხ. პავლე იაშვილმა გააცნო დამსწრეებს სექციის გეგმა კადრებთან მუშაობის შესახებ. ყოველდღიური კონსულტაცია, შემოქმედებითი საღამოები, ინდივიდუალური რჩევა-დარიგება, მასალის შერჩევა ჟურნალ-გაზეთებისათვის — აი ახალგაზრდა მწერლებთან სექციის მუშაობის ფარგლები. პოეტების სექციამ უკვე დაიწყო მუშაობა ამ ხაზით.

„ლიტ. საქ.“-ს რედაქციის გეგმის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამხ. ნიკოლოზ ჩაჩავამ. რედაქციას განზრახული აქვს ორ თვეში ერთხელ ახალგაზრდა მწერლებს დაუთმოს თითო გვერდი, გარდა მხატვრული ნაწერებისა გაზეთში მოთავსებული იქნება ბიბლიოგრაფია „ჩვენი თაობის“ ყოველ ნომერზე. გაზეთი ორ თვეში ერთხელ მოათავსებს მიმოხილვას სექციებში შემოსულ ახალგაზრდა მწერლების დაუბეჭდავ მასალებზეც. მზადდება კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქნება ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო ნაწერები. კრებული იქნება 15 ფორმიანი. გამოსაცემად „ფედერაცია“-ს გადაეცემა.

დრამატურგთა სექციას განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს ახალგაზრდა დრამატურგების შემოქმედებითი წრე. წრეში დრამატურგიის საკითხების გარშემო ჩატარებულ მოხსენებებს გარდა, გამოცდილებათა გაზიარების მიზნით, მოეწყობა წრის წევრთა შეხვედრა ცნობილ დრამატურგებთან (ს. მთვარაძის ინფორმაცია).

ჟურნალ „ჩვენი თაობის“ მუშაობის გარდაქმნის შესახებ ილაპარაკეს ამხ. დ. დემეტრაძემ და ალ. აბაშელმა.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. ფოფხაძემ, ი. ჩხაიძემ, ვ. ჩხენკელმა, შ. ამისულაშვილმა, ჯვარშეიშვილმა, ქობულაშვილმა, ალაზნისპირელმა, ლომიძემ და ქოიავამ, რომელთაც ერთხმად აღნიშნეს ახალგაზრდა კადრებს შორის დღემდე წარმოებული მუშაობის სისუსტე და კმაყოფილება გამოსთქვეს სექციებისა და პერიოდულ გამოცემათა რედაქციების მიერ დასახულ ღონისძიებათა გამო.

ბოლოს მწერალთა კავშირის პ/მ მდივანმა ამხ. დ. დემეტრაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში ადგილი აქვს ნეიტრალურ თემებს, ტენდენციას უიდეო განყენებულ ლექსებისადმი ძოუწოდა ამხანაგებს მეტ იდეურობისაკენ, კონკრეტობისაკენ.

რედაქტორი—დავით დემეტრაძე.
მდივანი—ალ. აბაშელი.

სახელგამის მე-3 სტამბა, აკ. წერეთლის ქუჩა, № 3—5.

შეკ. 907. მთავ. 2366. ტირ. 2200.